პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 275 (12787)

შაბათი, 26 ნოემბერი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

პროფკავშირები მმართველობის სკოლაა

საბჭოთა ხალხი თავისი მებრძოლი ავანგარდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ დიდი ლენინის მიერ დასახული გზით. ჩვენი სამშობლოს წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში განუყოფელია პროფკავშირთა საქმიანობისაგან. საბჭოთა პროფკავშირები გადაიქცნენ მმართველობის სკოლად, მეურნეობის გაძღოლის სკოლად, კომუნიზმის სკოლად. 68 მილიონი მუშა-მოსამსახურე თავის ძალებს, ენერგიასა და გამოცდილებას ახმარს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. ეს ნათლად დაადასტურა სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობამ, რომელმაც შეაჯამა პროფესიული კავშირების — ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციების — მოღვაწეობის შედეგები კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში და განსაზღვრა მათი მომავალი მუშაობის ამოცანები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისალმებაში, რომელიც სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობას გაუგზავნა, მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა პროფკავშირების მრავალმხრივ საქმიანობას, ხაზგასმით აღნიშნა მათი მზარდი როლი კომუნისტურ მშენებლობაში და დაუსახა შემდგომი განვითარების ამოცანები.

საქართველოს პროფკავშირებს, როგორც ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, ღირსეული წვლილი მიუძღვით იმ წარმატებებში, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

პროფკავშირული ორგანოების გარდაქმნამ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საკავშირო პროფსაბჭოს XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა, დადებითი შედეგი გამოიღო. გაიზარდა პროფკავშირთა როლი საწარმოებისა და მშენებლობათა საქმიანობაში, მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივების ცხოვრებაში. ისინი ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ და ღრმად სწვდებიან საწარმოთა ცხოვრებას, უკეთ ხელმძღვანელობენ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას და სოციალისტურ შეჯიბრებას, გაბედულად წყვეტენ მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საკითხებს. გაიზარდა პროფკავშირების საფუძვლის — ძირეული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი რვაჯერ გაიზარდა.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები ფართოდ უჭერენ მხარს და ავრცელებენ ყველა ძვირფას თაოსნობას, რომელიც იბადება შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში.

მაგრამ ვლაპარაკობთ რა ამ წარმატებებზე, ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ცალკეულ საწარმოებში ჯერ კიდევ დაბალია პროფესიული ორგანიზაციების როლი. ისინი არ იჩენენ საჭირო ინიციატივასა და პრინციპულობას ძირეული საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში, ნაკლებად რაზმავენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ძალებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. ამითაც აიხსნება ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმოები და მშენებლობანი, რომლებიც ჩამორჩებიან, თავს ვერ ართმევენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს, ზარალით მუშაობენ. მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში შემავალი 568 საწარმოდან მიმდინარე წლის ათი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა 91 საწარმომ. ბევრ საწარმოს არ გაუნაღდებია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები.

მთელ რიგ საწარმოებში, ვაჭრობაში, მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას. საჭირო მხარდაჭერას და საქმიან დახმარებას ყოველთვის ვერ პოულობენ გამომგონებლები და რაციონალიზატორები, სუსტად ინერგება პროფკავშირულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისები.

ყოველ საწარმოში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობაში უდიდესი გამოუყენებელი რეზერვებია. ჩააყენონ ისინი კომუნიზმის ინტერესების სამსახურში — აი საითკენ უნდა იყოს მიმართული პროფკავშირების, ყოველი მუშისა და მოსამსახურის ძალები.

გაზრდილი ამოცანები პროფკავშირებისაგან მოითხოვს განუხრელად აამაღლონ ორგანიზატორული საქმიანობის დონე, სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, განუხრელად იბრძოლონ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ყოველი ღონისძიებით განავითარონ შინაპროფკავშირული დემოკრატია, კრიტიკა და თვითკრიტიკა, ფართოდ დანერგონ საზოგადოებრივი საწყისები პროფკავშირულ ცხოვრებაში, აღზარდონ ადამიანები მაღალი მორალის პრინციპების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით.

პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს ქიმიის დაჩქარებითი განვითარების საკითხები. პროფესიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი და ყურად იღონ თვითეული სასარგებლო წინადადება, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის ღირსეულად შეხვედრის მზადებაში დაიბადება.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს და 10 დეკემბრამდე გასტანს საერთო და საქალაქო და რაიონული პროფკავშირული აქტივის კრებები, რომლებზეც განიხილავენ სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს, ეცნობიან სსრ კავშირის პროფკავშირთა ახალი წესდების შინაარსს. ამოცანა ის არის, რომ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოვაწყოთ ამ დოკუმენტების ახსნა-განმარტება, დავიყვანოთ ისინი თვითეულ მშრომელამდე. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ყველა იდეური იარაღი — მოხსენებები, ლექციები, საუბრები, თვალსაჩინო აგიტაცია... ყოველივე ამან კი ხელი უნდა შეუწყოს მასების საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდას, სახელმწიფო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირები კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დადგებიან. 1 დეკემბერს დაიწყება და 1 მარტამდე გაგრძელდება ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. ანგარიშგება-არჩევნები უდიდესი მოვლენაა პროფკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ამიტომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების ვალია ანგარიშგება-არჩევნები მოაწყონ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნით, და ამით კიდევ უფრო აამაღლონ პარტიის საიმედო დასაყრდენის — პროფკავშირების როლი კომუნიზმის მშენებლობაში.

ჩვენი ნობათი — სამშობლოს

რუსთავის მეტალურგთა გამარჯვება

რუსთავი. (საქ. კორ.). გუშინ პირველ ცვლაში რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, რომელიც ფართოდ არის ჩაბმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა შეასრულა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით წარმოებამ მიიღო ზეგეგმითი დაგროვება.

წლიური გეგმა შესრულებულია

ყაზბეგის რაიონის მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.555 ცენტნერისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.853 ცენტნერი მატყლი, ხორცი — 7.629 ცენტნერი, რაც 275 ცენტნერით მეტია წლიურ გეგმასთან შედარებით.

საამქროს კოლექტივი დაწინაურდა

მარიამ ხვადაგიანი თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის პირველი მექანიკური საამქროს ხელმძღვანელია. ამ საამქროს კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად იკისრა აითვისებინა და ყრილობის მოწვევისათვის გამოეშვა ლითონსხმულის საწმენდი ცხაურა-მანქანა, რომელზეც ლითონსამსხმელო მრეწველობაში დიდი მოთხოვნილებაა.

ცხაურა-მანქანა წარმოადგენს რთულ მექანიზმს, ლითონსხმულისაგან ყალიბების საწმენდ გაუმჯობესებული ვარიანტის მოწყობილობას. რამდენიმე თვის წინათ ქარხანაში მიიღეს ამ მოწყობილობის ნახაზები, ამის შესაბამისად შეუდგნენ სათანადო ტვიფრების, სამარჯვების, სხვა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის მომზადებას.

გუშინ, 23 ნოემბერს, ორი ცალი ცხაურა-მანქანა უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ. საამქროს კოლექტივმა დაპირება პირნათლად შეასრულა და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მუშაობის დაწყებისათვის უზრუნველყოს ამ მოწყობილობის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება.

ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა აგრეთვე ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხნის დაკვეთა სამსხმელო კონვეიერის დამზადების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის
XXII
ყრილობისათვის

ქართული მარკით 47 ქვეყანაში

დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის პროდუქცია. მიმდინარე წელს უცხოეთის 47 ქვეყანას გაეგზავნა ძვირფასი ხელსაწყოები. დეკემბერში პირველად გაეგზავნებათ პროდუქცია გამბიას, ლაოსსა და ირანს.

საწარმოს კოლექტივი მაღალნაყოფიერად მუშაობს იმისათვის, რომ ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადოს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას და პირნათლად შეასრულოს ყველა დაკვეთები. აქ ათი თვის გეგმა 101,4 პროცენტით გაანაღდეს, შრომის ნაყოფიერება 1,2 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 2 პროცენტით შეამცირეს, გააუმჯობესეს ეკონომიური მაჩვენებლები და მიიღეს 11 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

წარმოებაში ბევრი ჰყავთ ადამიანები, რომლებმაც სახელი გაითქვეს მაღალნაყოფიერი შრომით. მაგრამ ზეინკალ შ. ხუციშვილს, გალვანისტს გ. მიკრიტიჩიანს და ხარატ ვ. ქემაშვილს მაინც ვერავინ შეედრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

რუსთავში ფრთებს შლის დიდი ქიმია, ერთ საწარმოს ხარაჩოებს რომ მოხსნიან, მეორეს იწყებენ. ერთი თვე გავიდა, რაც დამთავრდა და მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობა. ახლა მშენებლები და მემონტაჟეები შეესივნენ ახალი ქიმიური ობიექტის — სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობას.

ახლა კაპროლაქტამის საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია გადასამუშავებლად იგზავნება რუსეთის ქიმიურ ქარხნებში. ხოლო როცა დამთავრდება სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობა და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა, კაპროლაქტამის საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია მთლიანად გადამუშავდება აღნიშნულ ქარხანაში და მივიღებთ ძვირფას კორდს და აბრეშუმის ხელოვნურ ძაფს.

სურათზე: სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ) — მემონტაჟე **გ. წნორიშვილი** და ბრიგადის ხელმძღვანელი **რ. ბარათაშვილი.**

ფოტო ე. ლოლობერიძისა.

მანქანათმშენებელთა წარმატება

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში მნიშვნელოვნად გააძლიერა შრომის ტემპი. აქ ათი თვის გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულეს, შრომის ნაყოფიერება 1,4 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 12 ათასი მანეთით შეამცირეს.

აღსანიშნავია, რომ ქარხნის კოლექტივმა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის სათადარიგო ნაწილების გამოშვების წლიური დავალება ათ თვეში 101,6 პროცენტით გაანაღდა.

ქარხნის ყველა საამქრო წარმატებით ხვდება ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ნოემბრის პირველი ნახევრის დავალება თითქმის ყველა ბრიგადამ და ცვლამ შეასრულა. წარმატებით სრულდება ნოემბრის მეორე ნახევრის დავალებაც.

ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვები.

შემხვედრთა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ოლდჟრის პავლოვსკი და ჩეხოსლოვაკიის საელჩოს თანამშრომლები.

მოსკოვში დაბრუნდა სკკპ პარტიული მუშაკების დელეგაცია

24 ნოემბერს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ პარტიული მუშაკების დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით, რომელიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში იყო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსცეს სკკპ პროგრამა

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გამომცემლობა „ინტერნეიშნლ პაბლიშერსმა" ნ. ს. ხრუშჩოვის სპეციალური წინასიტყვაობით გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი გამოცემა.

ამ წინასიტყვაობაში ნ. ს. ხრუშჩოვი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის გაცნობა „დაეხმარება ამერიკელებს უკეთ გაიგონ საბჭოთა სისტემის არსი, საბჭოთა ხალხის სწრაფვა და ნამდვილი მიზნები, ეს კი, ჩემი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობს მეგობრობის განვითარებას ჩვენს დიდ ხალხებს შორის და ამით მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 **წლის 23 ნოემბრის** ბრძანებულებით დაადგინა, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მოიწვიოს 1963 წლის 24 დეკემბერს მოსკოვში. (საკდესი).

საბჭოთა დელეგაცია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე

მოსკოვი, 25 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა დაამტკიცა დელეგაცია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე, რომელიც გაიხსნება 28 ნოემბერს ვარშავაში. ამ დელეგაციაში შევიდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები, მათ შორის მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტების წარმომადგენლნი.

დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი ა. ე. კორნეიჩუკი, არიან — ნ. ს. ტიხონოვი, ი. გ. ერენბურგი, მირზო თურსუნ-ზადე, ნ. ვ. პოპოვა, გ. ა. ჟუკოვი, ვ. გ. ჩხიკვაძე, მ. ი. კოტოვი, ვ. ლ. ვასილევსკაია, პ. ს. დედუშკინი, მიტროპოლიტი პიმენი, პროფესორი ა. სადიკოვი (უზბეკეთის სსრ), მწერალი მ. იბრაგიმოვი (აზერბაიჯანის სსრ), მწერალი ა. პოლტორაცკი (უკრაინის სსრ), პროფესორი ე. ი. გუდრინიეცე (ლატვიის სსრ) და საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები მოსკოვში

მოსკოვი, 25 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად დღეს მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია. მას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იან ნემეცი.

მის აღმატებულებას
ნ. ს. ხრუშჩოვს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ,

ამერიკელი ხალხის სახელით მინდა მადლობა მოგახსენოთ სამძიმრისათვის პრეზიდენტ კენედის ტრაგიკული დაღუპვის გამო. პრეზიდენტ კენედის მთელი მეცადინეობა მიეძღვნა მშვიდობისა და საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეს, ურთიერთობის გაუმჯობესებას ყველა ქვეყანას შორის, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. განზრახული მაქვს განვაგრძო მეცადინეობა ამ მიზნების მისაღწევად.

ლინდონ ბ. ჯონსონი

1963 წლის 24 ნოემბერი.

მის აღმატებულებას ლ. ი. ბრეჟნევს
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი პირადი სამძიმრისა და საბჭოთა ხალხების სამძიმრისათვის ტრაგიკული დანაკლისის — პრეზიდენტ კენედის დაღუპვის გამო, რაც ამერიკელმა ხალხმა განიცადა.

ლინდონ ბ. ჯონსონი

1963 წლის 24 ნოემბერი.

ამერიკის პრესა იუწყება, რომ
ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია
ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მოსკოვში

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ ცნობას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს თანხლებით ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მოსკოვში ფ. კოლერს. „ნიუ-იორკ ჯორნელ-ამერიკენი" ამ მასალას ათავსებს პირველ გვერდზე სათაურით: „მძიმე დანაკლისი, — ამბობს მისტერ ხრუშჩოვი". გაზეთმა „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანმა" გამოაქვეყნა მოსკოვიდან მიღებული ფოტოსურათი, რომელზეც ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის ელჩთან ფ. კოლერთან ერთად დგას ჯონ ფ. კენედის პორტრეტთან, რომელსაც შემოვლებული აქვს სამგლოვიარო ლენტი.

ფოტოსურათის ქვეშ მოთავსებულ სტატიას ეწოდება „ხრუშჩოვი ამბობს: მძიმე დანაკლისია ყველასათვის, ვისაც მშვიდობა სურს".

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი სპეციალურად დაბრუნდა უკრაინიდან მოსკოვს, რათა პირადად გამოეცხადებინა სამძიმარი.

ა. ი. მიქოიანი ვაშინგტონში

24 ნოემბერს მოსკოვიდან ვაშინგტონს გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რათა მონაწილეობა მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფიტცჯერალდ კენედის დაკრძალვაში.

„ვნუკოვო-2"-ის აეროპორტში ა. ი. მიქოიანი გააცილეს ამხანაგებმა: გ. ი. ვორონოვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. თ. უსტინოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ე. სემიჩასტნიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ფოი დ. კოლერი და ამერიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

გაფრენის წინ ა. ი. მიქოიანმა საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა შემდეგი:

ჩვენ ვაშინგტონს მივემგზავრებით, რათა უკანასკნელად გამოვეთხოვოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონ ფიტცჯერალდ კენედის, რომლის სიცოცხლე ტრაგიკულად შეწყდა საზიზღარი თავდასხმის შედეგად.

საბჭოთა მთავრობამ და მისმა მეთაურმა ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვმა დამავალეს გადავცე განსვენებული პრეზიდენტის ოჯახს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელებსა და მთელ ამერიკელ ხალხს გულწრფელი სამძიმარი ამ მძიმე დანაკლისის გამო. (საკდესი).

ვაშინგტონი, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილით აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. საბჭოთა საჰაერო ლაინერი „ილ-18", რომელშიც ა. ი. მიქოიანი იმყოფებოდა, დაეშვა ენდრიუსის საგარეუბნო სამხედრო-საჰაერო ბაზაზე.

აეროდრომზე ა. ი. მიქოიანს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ა. ჰარიმანი, სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე ლ. ტომპსონი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპის საქმეებში რ. დევისი, საბჭოთა კავშირის ელჩი ა. ფ. დობრინინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ა. ბორისოვი, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ამერიკელი და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე ა. ი. მიქოიანმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

საბჭოთა მთავრობისა და პირადად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის დავალებით მე ჩამოვედი სამწუხარო მისიით, რათა მონაწილეობა მივიღო ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის დაკრძალვაში.

საბჭოთა ადამიანები დიდად დაამწუხრა პრეზიდენტის ტრაგიკულმა სიკვდილმა და იზიარებენ ამერიკელი ხალხის გლოვას ამ მძიმე დანაკლისის გამო. საბჭოთა კავშირში ჯონ კენედის იცნობდნენ როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს და პატივს სცემდნენ მას. პატივისცემას იწვევდა განსაკუთრებით ის, რომ პრეზიდენტმა ბევრი ძალღონე მოახმარა და თავისი წვლილი შეიტანა სადავო საკითხების გადაჭრის ძიებასა და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში.

მინდა გულწრფელი სამძიმარი ვუთხრა განსვენებული პრეზიდენტის ოჯახს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და მთელ ამერიკელ ხალხს.

ამერიკის კომპარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გააკეთა განცხადება პრესისათვის, რომელშიც კატეგორიულად უარყოფს ცდებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფ. კენედის მკვლელობაში გარიონ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია. ჩვენ კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, ნათქვამია განცხადებაში, რომ პრეზიდენტის მოკვლა ემსახურება მხოლოდ იმათ მიზნებს, ვინც ცდილობს მოსპოს დემოკრატია, ვინც ისწრაფვის ტერორისა და ფაშისტური რეაქციის გზაზე დააყენოს ჩვენი ქვეყანა. ეს აქტი შეიძლება იყოს მხოლოდ გიჟის ნამოქმედარი, ან დემოკრატიის მტრის, ძალადობის ულტრამემარჯვენე ადვოკატთა აგენტის წინასწარ განზრახული მოქმედება. ძალადობისა და ტერორის აქტები, აღნიშნულია განცხადებაში, დიამეტრიულად ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის პოლიტიკასა და პროგრამას.

კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცდები პრეზიდენტ კენედის მკვლელობა გამოიყენონ ანტიკომუნისტური ისტერიის გაღვივებისათვის მხოლოდ ამძიმებს პრეზიდენტისა და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, ხელს უწყობს იმას, რომ გვერდი აუარონ ნამდვილ დამნაშავეებს, და ხელს აფარებს იმათ, ვინც აქეზებდა ამ ავაზაკურ, საზიზღარ და ტრაგიკულ აქტს.

ბ. ჯონსონის მიმართვა ხალხისადმი

ვაშინგტონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა ლინდონ ბ. ჯონსონმა გამოაქვეყნა მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი,

ჯონ ფიტცჯერალდ კენედიმ, შეერთებული შტატების 35-ე პრეზიდენტმა, დაგვტოვა ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც აღაშფოთებს წესიერ ადამიანებს ყველგან, ნათქვამია ამ მიმართვაში. ყველა, ვისაც თავისუფლება უყვარს, დაიტირებს მას. და სწორედ ისევე, როგორც იგი არ არიდებდა თავს და ხალისით ასრულებდა თავის მოვალეობებს, მისი სურვილი იქნებოდა არც ჩვენ ავარიდოთ თავი და განვაგრძოთ მისი საქმის შესრულება ამ ეროვნული ტრაგედიის შემდეგ.

გამოაცხადა რა შემდეგ 25 ნოემბერი — პრეზიდენტ კენედის დაკრძალვის დღე — ეროვნული გლოვის დღედ შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა მოუწოდა „მთელი მსოფლიოს ადამიანებს, რომლებიც იზიარებენ ჩვენს მწუხარებას, შემოგვიერთდნენ გლოვისა და ლოცვის ამ დღეს".

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 24 ნოემბერი. (საკდესი). კუბის პრემიერ-მინისტრმა **ფიდელ კასტრომ** სიტყვა წარმოთქვა რადიოთი და ტელევიზიით. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის მკვლელობა „სამწუხარო ამბავია". როგორც კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, კენედის მკვლელობა შეიძლება ხელსაყრელი იყოს შეერთებული შტატების მხოლოდ ყველაზე რეაქციული და ყველაზე მემარჯვენე ელემენტებისათვის.

აღნიშნა რა, რომ ამერიკის მთავრობა არ ახორციელებდა „მაინცდამაინც მეგობრულ პოლიტიკას" კუბის მიმართ, კასტრომ განაცხადა, რომ პრეზიდენტ კენედის მოკვლის შემდეგ ყველაზე მემარჯვენე და ულტრარეაქციული ელემენტები შესაძლოა შეეცადონ უფრო აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას.

შემდეგ კუბის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ულტრარეაქციული წრეები არ ეთანხმებოდნენ პოლიტიკას, რომელსაც ყოფილი პრეზიდენტი ახორციელებდა. მათ მიაჩნდათ, რომ კენედის პოლიტიკა კუბის მიმართ სუსტია, არ ეთანხმებოდნენ მოსკოვის ხელშეკრულების დადებასა და ზანგთა უფლებების გაფართოებას.

მიმდინარე წლის ზაფხულში მოსკოვში ატომური გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის ხელშეკრულების დადებამ „შეერთებულ შტატებში გამოიწვია წინააღმდეგობა და ყველაზე რეაქციული ელემენტების მტკიცე და გაფთრებული ოპოზიცია".

ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ კუბა მიესალმა ამ შეთანხმებას, თუმცა არ მოაწერა ხელი მას, რადგან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას თან ახლდა ამერიკის შეერთებული შტატების ულტრამემარჯვენე წრეების აგრესიული პოლიტიკის გაძლიერება კუბის წინააღმდეგ.

კასტრომ აღნიშნა, რომ კენედი ავტორიტეტით სარგებლობდა შეერთებულ შტატებში და განაცხადა, რომ მისი მოკვლა „უარყოფითი ფაქტორია" და შეიძლება შექმნას „ახალი სიტუაცია".

კასტრომ ამხილა გარკვეული წრეების ცილისმწამებლური მონაჭორები, რომ მკვლელს თითქოს რაღაც კავშირი ქონდეს სსრ კავშირთან და კუბასთან.

დასასრულ პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ კუბას უკავია მტკიცე პოზიცია. მისი ხალხი მზად არის დაიცვას თავისი სამშობლო და რევოლუციის მონაპოვარნი.

აღვზარდოთ მშრომელები კომუნიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი

23 ნოემბერს თბილისში, კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და სამეურნეო მუშაკებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **შ. ა. დოლიძის** მოხსენება „სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობის შედეგებისა და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში დამთავრდა, — თქვა მომხსენებელმა, — შეაჯამა პროფკავშირთა საქმიანობა განვლილი ოთხი წლის მანძილზე და განიხილა ის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელიც მათ წინაშე დგას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

პროფკავშირთა XII ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი აღსავსე იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით. მათ შორის უმნიშვნელოვანესია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის. პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია, რომლებმაც გამოიწვიეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა არნახული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენამ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნამ, ფართო შესაძლებლობა შექმნეს სოციალისტური დემოკრატიის აყვავებისათვის, მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის. ამაღლდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა.

ჩვენი ქვეყნის ყველა შრომით და საზოგადოებრივ საქმეში დიდი როლი მიეკუთვნება საბჭოთა პროფკავშირებს, რომლებიც 68 მილიონ მუშა-მოსამსახურეს აერთიანებენ. საბჭოთა პროფკავშირების მთელი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და ხალხის ბრძოლასთან კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

განვლილი წლების მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა პროფესიონალური კავშირების როლი სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. საყოველთაო სახალხო შეჯიბრების საფუძველზე, რომელსაც პროფკავშირები მეთაურობენ, წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

საქართველოს სსრ მშრომელებს, — თქვა ამხ. დოლიძემ, — თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური სიძლიერის განმტკიცებაში. შვიდწლედის განვლილი ოთხი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებმა აწარმოეს გაცილებით მეტი მთლიანი პროდუქცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამ პერიოდში აშენდა და ამუშავდა 67 სამრეწველო საწარმო, ათვისებულია 400 ახალი სახეობის ნაწარმი.

საქართველოს მშრომელებმა ახალი წარმატებებით აღნიშნეს შვიდწლედის მეხუთე წელიც. 103 პროცენტით შეასრულა მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა. გამოშვებულია ათობით მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

შესამჩნევი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. რესპუბლიკის მეჩაიეებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და სახელმწიფოს ჩააბარეს დაახლოებით 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 163 ათასი ტონისა. გასულ წელთან შედარებით გაცილებით მეტი ხორცი, ფრინველი, კვერცხი, რძეა დამზადებული. მარცვლის დამზადების გეგმა შესრულდა 100,3 პროცენტით, მატყლისა — 105,9 პროცენტით.

ფართოდ გავრცელდა ჩვენს რესპუბლიკაში კომუნისტური შრომის მოძრაობა. ამ მოძრაობაში მონაწილეობს ქალაქისა და სოფლის 300 ათასზე მეტი მშრომელი.

ახლა რესპუბლიკაში კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის მაღალი წოდება აქვს მინიჭებული 4.685 ბრიგადას, 368 საამქროს, 11 საწარმოსა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 25 ათასზე მეტ მუშას.

საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციისა და ფართოდ დანერგვისათვის. ორი ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწეს ა. ჩიქოვანს, რომელიც ინიციატორია შეჯიბრებისა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. ბევრმა ფეიქარმა დაუჭირა მხარი თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველის სოციალისტური შრომის გმირის ე. სოლომონიას ინიციატივას და უკვე 1962 წელს შეასრულეს გადაჭარბებით მოწყობილობის მწარმოებლობის შვიდწლედის დავალებანი.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცოტა როდია საწარმო და მშენებლობა, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს. ეს კრიტიკა მთლიანად და სავსებით ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. სოციალისტური შეჯიბრების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, სერიოზული ნაკლოვანებანი ორგანიზაციულ-სამეურნეო ხელმძღვანელობასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში იმის ძირითადი მიზეზები იყო, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა, მშენებლობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს საწარმოო დავალებანი.

ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მონაწილეობს წარმოების დაგეგმვაში, იშვიათად აყენებს სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე სამრეწველო საწარმოთა ჩამორჩენის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებს, სათანადო დახმარებას არ უწევს და ყოველდღიურად არ იბრძვის იმისათვის, რომ მუშებმა და მოსამსახურეებმა შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის გამომგონებლები და რაციონალიზატორები ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის. შვიდწლედის 4 წელიწადსა და 9 თვეში მათ შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს 100 ათასზე მეტი წინადადება და დაზოგეს 62 მილიონი მანეთი.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა წლობით აფერხებენ საყურადღებო წინადადებათა დანერგვას, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრებმა, გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა შეიმუშავეს, ხოლო პროფკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან ამ მოვლენის წინააღმდეგ.

ამხ. დოლიძე დაწვრილებით შეეხო საწარმოთა რენტაბელური მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

პარტია და მთავრობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. საბინაო მშენებლობის ტემპი ფართოდ განვითარდა ჩვენში. მარტო საქართველოში ამ ბოლო წელიწადნახევარში აშენდა 520 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ბევრი სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, კულტურის სახლი და კინოთეატრი, საყოფაცხოვრებო კომბინატი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმო და სხვ. მაგრამ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ჩამორჩება კულტურულ-საბინაო-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის გეგმის შესრულება.

მოხსენებაში მოყვანილია მთელი რიგი ფაქტები, როცა საყოფაცხოვრებო და სავაჭრო საწარმოები საკმარისად არ უწევენ მომსახურებას მოსახლეობას.

მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებას ემსახურება საქართველოს პროფკავშირთა ჯანმრთელობის დაცვის კერების მუშაობა. ოთხ წელიწადში რესპუბლიკის თითქმის 300 ათასმა მუშამ და მოსამსახურემ და 200 ათასზე მეტმა ბავშვმა დაისვენა და იმკურნალა ჯანმრთელობის დაცვის კერებსა და პიონერთა ბანაკებში. ამ პერიოდში გაფართოვდა ჯანმრთელობის დაცვის კერების ქსელი. მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა, მაგრამ არის დამსვენებელთა საჩივრებიც, რომლებიც მოითხოვენ დიაგნოსტიკის, კვების, კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას. ახალი ჯანმრთელობის კერების მშენებლობის გეგმა არ სრულდება გაგრაში, გუდაუთაში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1963 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებებით, თავიანთ მთავარ ამოცანად იდეოლოგიურ მუშაობაში უნდა დაისახონ ის, რომ მშრომელები აღზარდონ კომუნიზმის ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ყოველმხრივ და ჰარმონიულად განავითარონ პიროვნება, შექმნან სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრე.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობის გადაწყვეტილებანი და აღნიშნეს, რომ საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები ფართოდ აბამენ მშრომელებს წარმოების მართვა-გამგეობაში — ახორციელებენ ღონისძიებებს წარმოების ზრდის ტემპის დასაჩქარებლად, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შესამცირებლად.

პროფკავშირული მუშაობის ხელმძღვანელობაში ჩაბმულია ათასობით მუშამოსამსახურე — პროფკავშირული აქტივისტი, — თქვა საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ვ. ტყეშელაშვილმა**. — ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 6 განყოფილებასა და დარგობრივ ბიუროს ფიზკულტურასა და სპორტში.

საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. ვ. ხახაშვილმა** ილაპარაკა კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობაზე. წლიური პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაშლილი შეჯიბრება საშუალებას გვაძლევს წარმატებით შევასრულოთ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 200 ტონა მზა ჩაი, 1.127 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 50 ათასი ბოთლი შამპანური ღვინო და ბევრი სხვა კვების პროდუქტი. მაგრამ ამას არ უნდა დავჯერდეთ. ჩვენში ბევრია ისეთი საწარმო, რომლებიც დავალებებს ვერ ასრულებენ. ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ჩამორჩენილ საწარმოებს.

ჩვენი საწარმოს კოლექტივმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვა, — აღნიშნა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ა. ა. გოლუბევმა**, — გეგმის გადამეტებით შეკეთებულია სხვადასხვა მარკის 76 ავტომობილი. დავზოგეთ ბევრი სახსრები და მასალები. ორატორმა პლენუმის მონაწილეთ უამბო, თუ როგორ მუშაობს მისი ბრიგადა.

აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მდივანმა **გ. ზ. კიკნაძემ** ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს აჭარელმა მშრომელებმა შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში. წარმატებანი უფრო მეტი გვექნებოდა თქვა მან, — რომ არ ფერხდებოდეს სამრეწველო საწარმოების ნედლეულით და მასალებით მომარაგება.

თუ როგორ იბრძვიან საბჭოთა მეურნეობების მუშები მარცვლეულის, ყურძნის, ხილ-ბოსტნეულის კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, ილაპარაკა გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პროფკომის თავმჯდომარემ **ლ. პ. დაუშვილმა**. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, მეფრინველეობის ფაბრიკის, თელეთის, ნორიოსა და სხვა საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა წარმატებით შეასრულეს დავალებანი. ორატორმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობაში არის მოსავლიანობის გადიდების დიდი რეზერვები. რეზერვები უნდა გამოვავლინოთ და ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული წარმოების გადიდების დავალებანი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. შვიდწლედის ხუთ წელიწადში, წინა ხუთწლედთან შედარებით, მთლიანი პროდუქციის გამოშვება გადიდდა ერთნახევარჯერ — აღნიშნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ა. შარაშენიძემ** — ამას ხელი შეუწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის, მთელ რიგ მანქანათსაშენებელი და სხვა საწარმოთა ხელახალმა ტექნიკურმა აღჭურვამ. ათვისებულია ბევრი მანქანებისა და ნაკეთობის წარმოება, რომლებსაც წინათ რესპუბლიკაში არ ამზადებდნენ.

მაგრამ ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოუგვარებლობას, მოწყობილობის დაგვიანებით დადგმის გამო სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა 16 პროცენტმა ვერ შეასრულა მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა და ჩვენს ქვეყანას დააკლო მილიონობით მანეთის პროდუქცია.

აფხაზეთის 26 პროფკავშირული ჯანმრთელობის კერა რენტაბელურია, განაცხადა აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლ. გ. ოგურცოვა-გეთიამ**. უკანასკნელ სამ წელიწადში ჯანმრთელობის კერებში დამატებით დადგმულია 1.500 საწოლი. გაუმჯობესდა ავადმყოფთა დიაგნოსტიკა, გაიხსნა ახალი სამკურნალო კაბინეტები. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ფერხდება მათი ხორცითა და რძის პროდუქტებით, ხილით, ბოსტნეულით მომარაგება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ზამთარში.

სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების წარმოების გადიდების საკითხს მიუძღვნა გამოსვლა რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ **ბ. პ. წიქორიძემ**.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობის შესახებ საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმის დამსწრეთ შთაბეჭდილებანი გაუზიარა ყრილობის დელეგატმა ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა-მემოტორემ **ო. ვ. გუბიევამ**.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ვ. ნეფარიძე** შეეხო რკინიგზელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობის საკითხებს. უკანასკნელ ხანს საკვანძო და საველე სადგურებში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს 500-ზე მეტი ლექცია აქტუალურ თემებზე. რკინიგზელებს ემსახურებიან კლუბები, ბიბლიოთეკები, კინოდანადგარებით აღჭურვილი ვაგონ-კლუბები.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. მ. ლაბახუამ**. ორატორმა აღნიშნა, რომ წლითიწლობით დიდდება კაპიტალური დაბანდება ახალი სამრეწველო საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, ბინების მშენებლობაში.

კაპიტალური დაბანდების სახსრების უკეთ გამოყენებისათვის შეიქმნა მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია, მსხვილი საპროექტო ორგანიზაციები. განხორციელდა ღონისძიებანი, რათა მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები არ იქსაქსებოდეს. ამჟამად მთელი მშენებლობა რესპუბლიკაში თავმოყრილია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებში. მიუხედავად სამუშაოთა მოცულობის გადიდებისა, კაპიტალური მშენებლობის გეგმა არ სრულდება. ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ხორციელდება ღონისძიებანი, ამ საქმეში გვესაჭიროება პროფკავშირთა დახმარებაც. ისინი უნდა მეთაურობდნენ მშენებელთა შეჯიბრებას სამუშაოთა ვადამდე და ხარისხიანად შესრულებისათვის, უნდა მოაწყონ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, იზრუნონ მშენებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა ითაონ და უხელმძღვანელონ მშრომელთა შეჯიბრებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ყოველდღიურად სრულყონ სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და მეთოდები, ფართოდ განავითარონ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება. (საქტაგი).

სანიმუშოდ მუშაობს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალ-ამწყობთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც გურამ ჩადუნელი ხელმძღვანელობს. სურათზე: გ. ჩადუნელი მუშაობის დროს.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

პარტიული ცხოვრება

პარტიის ბათუმის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

კომუნისტური შრომისა და ცხოვრებისათვის

ბათუმი — საბჭოთა აჭარის კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი, საკავშირო ჯანმრთელობის კერა, საქართველოს დიდი საზღვაო ჭიშკარი! დღითიდღე იზრდება ეს დიდი რევოლუციური ტრადიციების ქალაქი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ აშენდა მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალი ახალი საწარმო, მათ შორის ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსაშენებლო, გემთსაშენებლო ქარხნები. დიდად განვითარდა საკონსერვო, რძის, ტყავის, სამკერვალო, საკონდიტრო წარმოება. ბათუმის საწარმოები უშვებენ ნავთობის მრავალ ნაწარმს, დაზგებს, თბომავლებს, მანქანა-მოწყობილობებს და სხვ., რომლებიც კარგად ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც (საზღვარგარეთის 44 სახელმწიფოში გადის).

შენდება და კიდევ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი ბათუმი. ფრთებს ისხამს აქაურ მშრომელთა დევიზი — გადავაქციოთ ბათუმი კომუნისტური შრომისა და ცხოვრების ქალაქად!

ერთი წელი და ცხრა თვე გავიდა საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის XX კონფერენციის შემდეგ. ამ პერიოდში ქალაქის საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. საანგარიშო პერიოდში ბათუმის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის შედეგებს და შემდგომ ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის XXI კონფერენცია.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კოპლატაძე, რომელმაც საანგარიშო მოხსენება გააკეთა, ლაპარაკობს ბათუმელ მშრომელთა სახელოვან წარმატებებზე. შვიდწლედის მეხუთე წლის განვლილ პერიოდში ქალაქის მრეწველობამ ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების 10 თვის სახელმწიფო გეგმები, ქვეყანას მისცა ასეულ ათასობით მანეთის საქონელი.

საანგარიშო პერიოდში ქალაქის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 8,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 14 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 9,2 პროცენტით, სახელმწიფოს მიეცა 6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

განსაკუთრებით აღინიშნა ბათუმელი მანქანათმშენებლების კარგი მუშაობა. მათ ჯერ კიდევ 12 ნოემბერს შეასრულეს თერთმეტი თვის გეგმა და 10 დეკემბრისათვის იკისრეს წლიური გეგმის განაღდება.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ორატორებმა — საზღვაო პორტის პარტბიუროს მდივანმა ზ. ტუსკიამ, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ა. გალათურიამ, მანქანათსაშენებლო ქარხნის დირექტორმა გ. ცინცაძემ, გემთსაშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ზოიძემ ილაპარაკეს თავიანთი სამოქმედო უბნების მიერ უკანასკნელ პერიოდში მოპოვებულ წარმატებებზე, აგრეთვე იმ ჩრდილოვან მხარეებზე, რომლებიც ხელს უშლიან საერთო წარმატებას და უკან სწევენ საწარმოთა მაჩვენებლებს. დელეგატებმა გააკრიტიკეს რკინიგზის ბათუმის სადგურის, აგრეთვე კოფეინის, ტყავის, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების მუშაობა, რომლებშიც სისტემატურად ფერხდება სახელმწიფო დავალებათა შესრულება. მარტო ის ფაქტი, რომ ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ უკანასკნელ ათ თვეში ქვეყანას დააკლო ათობით ათასი მანეთის ნავთობპროდუქტები, ცხადყოფს ქარხნის ხელმძღვანელთა სუსტ მუშაობას.

ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ავტომატიზაციასა და მექანიზაციას. პურისა და თევზის კომბინატებში, ღვინისა და ლითონდამმუშავებელ ქარხნებში თვეობით ჭიანურდება ახალი მანქანა-დანადგარების მონტაჟი. სამ წელზე მეტია ვერ მოახერხეს საექსპლოატაციოდ გადაეცათ ხილეულის წყლების ქარხნის ახალი შენობა და გამოიყენონ ავტომატური ხაზი, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე უმოქმედოდ არის და იჟანგება.

ჯერ კიდევ სუსტია ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის. მარტო უკანასკნელ ცხრა თვეში ხისდასამუშავებელი კომბინატის, ფეხსაცმლის და სამკერვალო ფაბრიკების, მექანიკური ქარხნის, ციტრუსკომბინატის და სხვა საწარმოთა მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოსულია 223 რეკლამაცია, ხოლო ქალაქის 15 სამრეწველო საწარმოს მიერ გადახდილი ჯარიმა 196 ათას მანეთს აღემატება.

ქალაქის მშრომელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, ახალი ადამიანის აღზრდის, მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. მახარაძემ, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსმა მ. თარგამაძემ, ბათუმვაჭრობის დირექტორმა გ. თოიძემ, ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა შ. დავითაძემ და სხვებმა.

დელეგატები გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ ქალაქში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხულიგნობას, ქურდობას და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს. პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ზოგჯერ ლიბერალობას იჩენენ.

მომხსენებელი და კამათში გამოსული დელეგატები ლაპარაკობდნენ იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან გამოცოცხლებაზე, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ თუ შარშან პოლიტიკური განათლების მთელ ქსელში გაერთიანებული იყო მოსახლეობის 32 პროცენტი, წელს სხვადასხვა წრეებსა და სემინარებში ჩაბმულია 41 პროცენტი. ამასთანავე აღინიშნა, რომ აღმზრდელობით მუშაობაში კვლავაც არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. ცუდად დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მიზეზია სახელდობრ ის, რომ საგრძნობია რელიგიური სექტების ერთგვარი გამოცოცხლება.

ქალაქის კონტროლის ორგანოების მუშაობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. რატიანმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. უკლება.

კონფერენციამ განახლა პარტიის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობა, აირჩია სარევიზიო კომისია და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის XXIX კონფერენციის დელეგატები.

შედგა ახალარჩეული საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ა. კოპლატაძე, მეორე მდივნად — ლ. ბოლქვაძე, მდივნად — ნ. ბორიძე.

არჩეულ იქნა ქ. ბათუმის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ა. რატიანი.

რ. გორგაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

დიდი ქიმია და ჩვენი მანქანათმშენებლობა

საბჭოთა ადამიანები შრომითი აღმავლობით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, რომლის დღის წესრიგში განსახილველად დაყენებულია სახალხო მეურნეობისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიც არის დიდი ქიმიის განვითარების პრობლემები.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა დიდი მონდომებით ზრუნავს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიდი ქიმიის განვითარებას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ამ წერილის მიზანია მკითხველებს მოვუთხროთ იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვთ ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარების საქმეში ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლებს, თავის მხრივ როგორ სარგებლობენ ისინი დიდი ქიმიის მიღწევებით, როგორ ახორციელებენ ძვირადღირებული ნედლეულის შეცვლას სრულფასოვანი უფრო იაფი ნედლეულით.

საქართველოს მანქანათმშენებლები ქიმიური მრეწველობის დიდად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ დაკვეთებს ასრულებენ. წამყვანი როლი ამ საქმეში ეკუთვნის ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივს, რომელიც ეს ერთი ხანია შეუდგა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველი საწამლავების წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის მთელი კომპლექსის დამზადებას. როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ქიმიური მრეწველობა წელსვე უნდა შეუდგეს თხევადი ქიმიური საწამლავების — შხამქიმიკატების გამოშვებას. ამასთან დაკავშირებით ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანას დაეკისრა უკვე მიმდინარე წელს გამოეშვა ქიმიური საწამლავების ავტომატურად დამნაწილებელი კარუსელური ტიპის მანქანები 8-10 ლიტრიან ლითონის დოლებში ჩასასხმელად.

მომავალი 1964 წლიდან კი ამავე ქარხანაში უნდა დაიწყონ ერთლიტრიან ლითონის ქილებში იმავე თხევადი საწამლავის დამნაწილებელი, აგრეთვე 20 ლიტრიან შუშის ბოთლებში დამნაწილებელ და შემფუთავ ნახევრადავტომატურ მანქანათა პირველი ნიმუშების დამზადება.

საგრძნობი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს ქიმიური მრეწველობისათვის თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივიც. ჩარხმშენებლებმა წელს ქიმიურ მრეწველობას უნდა გადასცენ 95 ცალი ლითონდასამუშავებელი ჩარხი, აქედან 94 ცალი „163“ ტიპისა და ერთი სპეციალური ჩარხი.

ჩარხმშენებლები წარმატებით ანაღდებენ ამ დავალებას. 1 ოქტომბრისათვის მათ უკვე 89 ცალი ჩარხი ჩააბარეს ქიმიკოსებს, ხოლო დანარჩენსაც, ეჭვი არ არის, დათქმულ ვადებში გადასცემენ. იგივე უნდა ითქვას ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის კოლექტივის შესახებ, რომელიც ფოლადისა და თუჯის სხმულებს უმზადებდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანას, პირნათლად და დროულად ასრულებდა რუსთავის ქიმიკოსების დაკვეთას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მანქანათმშენებლებს უმთავრესად საქმე აქვთ ლითონთან, ხოლო ლითონს თან ახლავს მისი საშინელი მტერი — კოროზია. მანქანათსამშენებლო მრეწველობაში ახლა კოროზიასთან ბრძოლა ერთ-ერთ მთავარ საკითხად არის მიჩნეული. კოროზიას უდიდესი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის: მანქანები მალე გამოდიან მწყობრიდან, საჭირო ხდება მათი შეცვლა. ხოლო კვების მრეწველობაში გამოსაყენებელი მანქანებისათვის კოროზია კიდევ უფრო მეტი ზიანის მომტანია. კოროზია აფუჭებს მანქანას, სჭამს ლითონს და თან კვების პროდუქტების ხარისხსაც აუარესებს. კოროზიის შედეგად ადამიანის მოსახმარ პროდუქტში (ჩაი, ღვინო, ხილისა და ტომატის წვენი) გადადის ლითონის უხილავი მინარევები და ამის შედეგად უარესდება პროდუქტის საგემოვნო თვისება, მისი ფიზიკურ-ქიმიური ხარისხი.

ეს პროდუქტები კი, განსაკუთრებით ჩაი, ღვინო და სხვ., ლითონისადმი აგრესიულნი არიან, იწვევენ ინტენსიურ კოროზიას, კოროზიული ლითონი კი პროდუქტს უერთდება. მანქანათმშენებლები ეძებენ ისეთ მასალებს, რომლებიც ლითონს, ჩვეულებრივ ფოლადს, აგრეთვე ლეგირებულ ფოლადს, თუჯს და ბრინჯაოს და სხვ. დაიცავენ კოროზიისაგან.

ადამიანის გონებამ ვერ მიაგნო ლითონის ამ დაუძინებელი მტრის — კოროზიის დამარცხების საშუალებებს და ამის გამო დაიწყო ლითონთა სრულფასოვანი შემცვლელების ძიება. ამის შედეგია, რომ ახლა მანქანათმშენებლობაში ფართოდ ინერგება დიდი ქიმიის უახლეს მიღწევათა წყალობით შექმნილი სინთეზური ანუ პოლიმერული მასალები, უწინარეს ყოვლისა პლასტიკური მასალები. ამ პროგრესული მასალების გამოყენება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ კოროზია და მივიღოთ მასალების დიდი ეკონომია.

პოლიმერული მასალებით დაფარული ლითონი რომ კოროზიას არ განიცდის, ეს ცნობილია მრავალი ცდით. ცდებს აწარმოებენ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს სპეციალისტები მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკის საპროექტო ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად.

ახლა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტების დახმარებით შერჩეულია კვების მრეწველობაში გამოსაყენებელ მანქანათა იმ დეტალების ნომენკლატურა, რომლებიც შეიძლება პლასტმასისაგან დავამზადოთ. ეს მოგვცემს ლითონის დიდ ეკონომიას. უკვე დამუშავებულია ლითონის ნაცვლად პლასტმასისაგან დამზადებული დეტალების წარმოების ტექნოლოგია, დაიწყეს საამისოდ საწარმოო უბნის მოწყობა და სულ ახლო ხანში ქარხნის ეს უბანი მუშაობას შეუდგება.

1964 წელს ასეთივე ღონისძიებების განხორციელება გათვალისწინებულია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში, რომელიც ყურძნის პირველადს გადასამუშავებელ მანქანებს უშვებს. ამ მანქანების დამზადებაზე დიდძალი ფერადი ლითონი და ქრომი იხარჯება. ყველა ეს ლითონი მალე პლასტმასებით შეიცვლება.

რა ეფექტს მოველით ფერადი და ძვირადღირებული ლითონების ნაცვლად სრულფასოვანი შემცვლელების, ამ შემთხვევაში პლასტმასების გამოყენებით, ეს ჩანს შემდეგი მაგალითიდან: მარტო ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში ლეგირებული და უხვად ლეგირებული ფოლადები, აგრეთვე ფერადი ლითონების ნაცვლად პლასტმასის გამოყენება წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით ყოველწლიურად მოგვცემს სულ ცოტა 150 ათას მანეთ ეკონომიას და გაათავისუფლებს სახალხო მეურნეობისათვის დიდად საჭირო ძვირადღირებულ დიდძალ ლითონს.

პოლიმერული მასალების გამოყენებას ფართო პერსპექტივა აქვს. ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ მინდა შევჩერდე გემთმშენებლობაში პლასტმასების დიდ პერსპექტიულობაზე. გემთტარებაში ახლა მთავარ მიმართულებად აღიარებულია მაღალი სიჩქარეების მიღწევა, ხოლო მაღალი სიჩქარეების უზრუნველყოფის პირველი პირობა თვით სატრანსპორტო საშუალების, გემის საკუთარი წონის შემცირება არის. რაც უფრო მსუბუქია გემი, მით უფრო მეტი იქნება მისი ტვირთამწეობის უნარი, იმდენად ნაკლები დაჯდება ზღვით ტვირთის გადაზიდვა.

გემის საკუთარი წონის შესამცირებლად კი საჭიროა ახალი ეფექტური მასალების, კერძოდ პლასტმასების გამოყენება, რითაც შეგვიძლია გემის საკუთარი წონა ათჯერ შევამციროთ.

ბათუმელმა გემთმშენებლებმა ბოლო წლებში წარმატებით აითვისეს პლასტმასისაგან სასეირნო და წყალწაღებულთა დასახმარებელი კატარღების წარმოება. პლასტმასის გემი არა მარტო ლამაზი და მსუბუქია, არამედ უფრო გამძლეც არის, ვიდრე ლითონის გემები. პლასტმასის გემი კოროზიას არ განიცდის, მისი საექსპლოატაციო ხარჯები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ფოლადის გემებისა, ხოლო განვლადობა შეუდარებლად უფრო ფართო. სიმსუბუქის გამო პლასტმასის გემს მცირე წყალწყვა აქვს, მას შეუძლია გაცუროს მცირეწყლიანი ადგილები, შეიძლება ასეთი გემი გამოვიყენოთ არაღრმა მდინარეებზე ნაოსნობისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ასეთი გემის დასამზადებელი შრომითი და ფულადი დანახარჯები ბევრად ნაკლები გამოდის, ვიდრე ფოლადის გემებისა.

რასაკვირველია, ჯერჯერობით პლასტმასის გემის თვითღირებულება შედარებით მაღალია, მაგრამ ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების, დიდი ქიმიის ახალი სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და პოლიმერების წარმოების გაფართოების შემდეგ პლასტმასის თვითღირებულება მკვეთრად შემცირდება.

პლასტიკური მასების გამოყენებას მანქანათმშენებლობაში ყოველთვის დიდი ეკონომიური ეფექტი მოსდევს. მაგალითად, თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში პლასტმასისაგან, უფრო სწორად, მისი ერთ-ერთი სახეობის — კაპრონისაგან 33 დასახელების საჩარხე დეტალს ამზადებენ და ამით საწარმო ყოველწლიურად 10.000 მანეთ ეკონომიას აღწევს. უკვე დაწყებულია საპროექტო-კვლევითი მუშაობა პლასტმასის გამოსაყენებლად ტვიფრებისა და მოდელების დამზადებაში. პლასტმასის ტვიფრებისა და მოდელების ნაწილობრივმა დანერგვამ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში დადებითი შედეგი გამოიღო და საყურადღებო გამოცდილება მოგვცა.

საქმე მარტოოდენ ის კი არ არის, რომ პოლიმერული მასალების, უწინარესად კი პლასტმასის გამოყენება გვაძლევს ლითონის ეკონომიას, ამცირებს ნაწარმის თვითღირებულებას, ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ პლასტმასების გამოყენებით მცირდება შრომითი დანახარჯები, მარტივდება წარმოების ორგანიზაცია, საგრძნობლად მცირდება მოწყობილობის მომსახურებისა და რემონტის ხარჯები და წარმოების ტექნოლოგიური მომზადებისათვის საჭირო დრო.

მიუხედავად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა უპირატესობისა, პოლიმერების და პლასტიკური მასების გამოყენებამ მანქანათმშენებლობაში დღესდღეობით მაინც ვერ მიაღწია ჯეროვან დონეს. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაშიც, რომ ჩვენმა კონსტრუქტორებმა და ტექნოლოგებმა ვერ შეისწავლეს დიდი ქიმიის ამ წყალობის — პოლიმერების, კერძოდ პლასტმასების, ყველა თვისება. ამიტომ ახლა, დიდი ქიმიის სწრაფი განვითარების პერიოდში აუცილებელია მანქანათსამშენებლო საწარმოებში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებს, უწინარეს ყოვლისა კი ჩვენს კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგებს, შევასწავლოთ ეს საქმე, ავუმაღლოთ ამ დარგის ცოდნა, რათა უფრო მიზანდასახულად წარმართონ თავიანთი შემოქმედება მანქანათმშენებლობაში პოლიმერული მასალების ფართოდ დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ვ. ვადაჭკორია,
საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთების ფურცლებზე

სასარგებლო ურთიერთგამოძახება

თელავის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტისა და სასოფლო რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ორგანომ „ალაზნის განთიადმა“ თავის მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის ნომრის შიდა გაშლილი გვერდები დაუთმო გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანოს „სამგორის“ რედაქციის მიერ მომზადებულ მასალებს. ამის თაობაზე „ალაზნის განთიადი“ წერდა: **„ჩვენი გაზეთის რედაქციას მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული გაზეთ „სამგორის“ რედაქციასთან. იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ ორი სამმართველოს მშრომელთა საქმიანობისა და მიღწევების ურთიერთგაცნობა, ორივე გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა გაცვალოს გაზეთების გვერდები“...**

გაზეთ „ალაზნის განთიადის“ ამ ნაბიჯს 19 ნოემბერს მოჰყვა გაზეთ „სამგორის“ შემცვლელი შიდა გვერდები. **„...ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე და მესამე გვერდებზე მოთავსებული მასალები,** — აღნიშნავს „სამგორი“, — **რომელიც „ალაზნის განთიადის“ რედაქციამ მოამზადა, — მოგვითხრობს თელავის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა საქმიანობაზე, მეურნეობის სხვადასხვა ფრონტზე მოპოვებულ წარმატებასა და პერსპექტივებზე“.**

ორივე გაზეთის გაშლილი გვერდებისათვის შერჩეულია საინტერესო მასალები, რომლებიც აღელვებენ საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებს. მათში მოთხრობილია თელავისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა ბრძოლაზე პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ნაჩვენებია ახალი მიჯნების აღებისა და ნაკლოვანებათა დაძლევის გზები. მკითხველები ინტერესით ეცნობიან თელავისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნების ა. ვარდოშვილისა და ვ. მირიანაშვილის, სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. დემეტრაძის, კურდღელაურის კოლმეურნეობის № 10 ბრიგადის ხელმძღვანელის ზ. კირვალიძის, სამგორის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. ალიევას და სხვების წერილებს.

გარდა ამისა, გაზეთების ფურცლებზე ყურადღებას იპყრობს მასალები, რომლებიც ასახავენ სამგორის უკაცრიელი ველის გარდაქმნას, თელავის წარსულსა და აწმყოს... ციფრებსა და ფაქტებში მოჩანს ორივე გამსხვილებული რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი ზრდა. შემცვლელი შიდა გვერდები გემოვნებით არის გაფორმებული და კარგად ილუსტრირებულია.

გაზეთებმა „ალაზნის განთიადმა“ და „სამგორმა“ შიდა გვერდების გაცვლით თავიანთ მკითხველებს კარგი სამსახური გაუწიეს. ეს სასარგებლო ურთიერთგამოძახება ალბათ ტრადიციად იქცევა.

კომუნისტი
მე-2 გვერდი, შაბათი,
26 ნოემბერი, 1963 წ.

როგორ ამზადებდნენ „ცოფიანები“ დანაშაულს დალასში

...-იორკი, 24 ნოემბერი. („პრავდის“ ...ორ.). დღეს აქ ცნობილი გახდა ზო... ...თი გარემოება, რომლებიც წინ უძ... ...ამერიკის შეერთებული შტატების ...იდენტის ჯონ კენედის მოკვლას ქა... ...დალასში (ტეხასის შტატი). უაღრე... ...ქციული ატმოსფერო, რომელიც ...ში შექმნეს ულტრა-მემარჯვენე ...ტებმა, იმდენად დაძაბული გახდა, ...თეთრი სახლის უშიშროების სამსა... ...აძულა ეთხოვა კენედისათვის გა... ...ო თავისი მოგზაურობა.

...შფოთება ვერ მოეშორებინა შტატის ...ნატორ კონელისაც, რომელიც ...ზე უკეთ იცნობდა ტეხასელ ულ... ...ა განწყობილებას. გუბერნატორი ...ალურად ჩაფრინდა ვაშინგტონში, ...ენედისათვის ერჩია არ წასულიყო ...ში, სადაც, გუბერნატორის სიტყ... „შესაძლებელია არასასიამოვნო ინ... ...ტები“.

...ც გაერთიანებული ერების ორგანი... ...ში ამერიკის შეერთებული შტატე... ...რმომადგენლის სტივენსონის რჩე... ...პრა. ერთი თვის წინათ სტივენსონ... ...ის თავზე გამოსცადა დალასელი ...ნების გააფთრება. „სტივენსონს არ ...და წინაგრძნობა კატასტროფისა, ...ც შეიძლებოდა კენედის თავს ...ხოდა დალასში“, — წერს დღეს გა... „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“. ...მს მოვალეობად მიმაჩნდა, — ამ... ...თქთ სტივენსონი, — დამერეკა ...სახლში და მიმეცა გაფრთხილება ...ში ცოფიანობის პრეცედენტების ...ბ“.

...ე საშინელის წინაგრძნობით მოე... ...კენედის ჩასვლას დალასის ბევრი ...რები. მაგალითად, დალასის უნი... ...ეტის სტუდენტი რობერტ როუზი ...ენტის ჩასვლამდე ორი დღით ად... ...როდა თავის დედას კონექტიკუტის ...: „**სანაძლეოდ ვდებ 10-ს ერთის** ...**მდეგ, რომ მას მოკლავს რომელი**... ...**ტეხასელი მანიაკი. იმის შემდეგ,** ...**სტივენსონს შეემთხვა, მაფიქრებს** ...**დენტის ბედი**“. ტეხასში პრეზი... ...კენედის ჩასვლის დღეს ადგილობ... ...გაზეთმა „დალას მორნინგ ნიუსმა“ ...ერთ-ერთ **გვერდს მსხვილი სამგ**... ...**რო არშია გაუკეთა**. ამ სამგლო... ...გვერდზე მოთავსებული იყო მი... ...ვაშინგტონელი სტუმრისადმი. ...ანდით, მისტერ კენედი, დალას... ...წეროდნენ ულტრები, — იმ ქალაქ... ...რომელმაც უარყო თქვენი ფილოსო... ...ა პოლიტიკა 1960 წელს და რო... ...კვლავ უარყოფს მათ **კიდევ უფ**... ...**ამაჯერებლად, ვიდრე წინათ**“. ...რკის ერთ-ერთი გაზეთის კორეს... ...ტი ბობ კონსიდაინი ახლა ამ „მი... ...ს“ არცთუ უსაფუძვლოდ წინას... ...ყველეურს უწოდებს.

...უფრო საზიზღარი და ამაზრზენი ...ხლა ისინი, ვინც ცდილობს კენე... ...კვლა დააბრალოს ამერიკელ კო... ...ებს და „კუბის მიმართ გონივრუ... ...ლიტიკის“ ორგანიზაციის წევრებს. ...კის შეერთებული შტატების კო... ...ურმა პარტიამ მთელი პასუხის... ...ბით განაცხადა, რომ პრეზიდენ... ...კვლაში ეჭვმიტანილი ლი ოსვალდი ...**დეს არ ყოფილა პარტიის წევრი და** ...**სთან საერთო არა აქვს რა**. ...მიმართ გონივრული პოლიტი... ...მიტეტის ხელმძღვანელები აცხა... ...რომ მათ **აქამდე არასოდეს არ** ...**იათ ოსვალდის სახელი**. უფრო ...დალასში არასოდეს არ ყოფილა ...არის კომიტეტის განყოფილება, ...თავმჯდომარედაც, პოლიციის ...ით, თავს ასახელებს ოსვალდი. ...ასის პოლიცია ამტკიცებს, რომ ოს... ...თავს მარქსისტს უწოდებს. ეს ...ის არის, რაც სჭირდებათ ულტ... ...ენებს, ფაშისტებს, ბირჩისტებს, რასისტებს, გენერალ უოკერს და სენატორ გოლდუოტერს. „ცხადია, რომ მკვლელობა ჩაიდინა კომუნისტმა ფანატიკოსმა, — ცდილობენ დღეს ისტერიის დაძაბვას ჰერსტის გაზეთები. — ეს რომ ჩაიდინა, იგი კომუნიზმის საქმეს ემსახურებოდა“. ამას რომ კითხულობ, რეაქციული პრესის ღმუილს რომ ისმენ, შეიძლება დაასკვნა, რომ **გამალებით ჩაიდება დიდი ხნის მოფიქრებული პროვოკაციული ოპერაცია, რომელიც მოგვაგონებს 1933 წელს გერმანიის რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმეს, რაც გერმანელ ფაშისტებს დასჭირდათ გერმანიის პროგრესული ძალების წინააღმდეგ დარტყმისათვის**. შემთხვევითი როდია, რომ ქალაქ მედისონში (ვისკონსინის შტატი) გუშინ ქუჩაში **გამოვიდა ჰიტლერელი მოიერიშის ფორმაში გამოწყობილი ლაწირაკი და დაიწყო ყვირილი: „მე ვდღესასწაულობ კენედის მოკვლას! ახლა წითლებს მივადგებით!“**.

ანტისაბჭოთა და ანტიკუბური ისტერიის გაღვივების ცდები ყოველ საათს ძლიერდება. აშკარად პროვოკაციული, წამქეზებლური სუნი ასდის ადგილობრივი გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკის პოლიცია თითქოს მოელის „**შესაძლო** არეულობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლობათა შენობების წინ“.

უბრალო ამერიკელები არ ფარავენ თავიანთ შეშფოთებას ყოველივე იმით, რაც მათ გარშემო ხდება. გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანის“ კორესპონდენტი დღეს მოგვითხრობს ტიპიური საუბრის შესახებ, რომელიც მას მოუსმენია კაფეში ნიუ-იორკის ლეგსინგტონ ავენიუზე. აი ამ საუბრის ბოლო, როგორც მას ამერიკელი ჟურნალისტი აგვიწერს:

— მე მეტს გეტყვი, — თქვა დახლთან მდგომმა კაცმა, — მეშინია, მეშინია იმისა, თუ რა შეიძლება კიდევ მოხდეს. საქმე შეიძლება სულ სხვანაირად შეტრიალდეს. ხომ შეიძლება?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა სრულმა მამაკაცმა. — საქმე უკვე იწყებს სხვანაირად შეტრიალებას.

კენედის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ყოველ საათს სულ უფრო მეტი საფუძველი გვეძლევა მივიჩნიოთ, რომ დალასში მომხდარი მკვლელობა წინასწარ მოფიქრებული აქცია იყო მოფაშისტო ძალებისა, იმ ულტრამემარჯვენე და რასისტული წრეებისა, რომლებიც შეთქმულებას აწყობენ ყოველი ნაბიჯის წინააღმდეგ, რაც კი მიმართულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ, ცდილობენ რეაქციის ახალი ბინძური ტალღით დაფარონ შეერთებული შტატები.

ბ. სტრელნიკოვი.
(„პრავდა“, 25 ნოემბერი).

ვაშინგტონი ეთხოვება პრეზიდენტ კენედის

ვაშინგტონი, 25 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება: ვაშინგტონი და მთელი ამერიკა ძაძებშია.

23 ნოემბერს მთელ დღეს და 24 ნოემბერს ნაშუადღევს პრეზიდენტის ჯონ კენედის ცხედართან, რომელიც დასვენებულია თეთრი სახლის აღმოსავლეთ ოთახში, უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ მწუხარებით გულმოკლული და თავზარდაცემული ამერიკელები.

სახელმწიფო ალმით დაფარულ ცხედართან არიან განსვენებულის მეუღლე ორი შვილით, ოჯახის სხვა წევრები და მახლობელი მეგობრები, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი მეუღლითურთ, მინისტრები, კონგრესის ლიდერები, შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტები ჰ. ტრუმენი და დ. ეიზენჰაუერი, შტატების გუბერნატორები, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი, უმაღლესი სასამართლოს წევრები, უმაღლესი თანამდებობის სამხედრო ხელმძღვანელები, პროფკავშირული მოღვაწენი, ამერიკის კულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. განსვენებულ პრეზიდენტთან გამოსათხოვრად მივიდა სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

24 ნოემბერს დღის 1 საათზე ვაშინგტონის დროით ცხედარი გამოასვენეს თეთრი სახლიდან და დაასვენეს ქვემეხის ლაფეტზე, რომელშიც ცხენებია შებმული.

სამგლოვიარო პროცესია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობისაკენ დაიძრა.

კაპიტოლიუმის შენობის მახლობელი ქუჩები ხალხით არის გაჭედილი. ხეებზეც კი ასულა უამრავი ხალხი.

1 საათსა და 48 წუთზე ადგილობრივი დროით სამგლოვიარო პროცესია მივიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მოედანზე. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ორკესტრი ასრულებს ჰიმნს. ჰიმნის პირველსავე ჰანგებს ერთვის საარტილერიო სალუტი. ჰიმნისა და საარტილერიო სალუტის ხმებში ყველა გვარეობის ჯარების წარმომადგენლებმა აიღეს პრეზიდენტის ცხედარი ქვემეხის ლაფეტიდან და გადაასვენეს კაპიტოლიუმის ვეებერთელა ცენტრალურ დარბაზში.

ცხედარი დაასვენეს იმავე ფიცარნაგზე, რომელზეც 1865 წელს დასვენებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აბრამ ლინკოლნი, სამხრეთელი რასისტის ხელით განგმირული.

განსვენებული პრეზიდენტის ჯონ ფ. კენედის ცხედარი კაპიტოლიუმში იქნება 25 ნოემბრის 11 საათამდე. კაპიტოლიუმში შესვლა პრეზიდენტთან გამოსათხოვებლად დაიწყო.

თათბირი პრეზიდენტთან

ვაშინგტონი, 25 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ მიიღო ამერიკის ელჩი სამხრეთ ვიეტნამში ლოჯი, სახელმწიფო მდივანი რასკი და თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, რომლებმაც მოხსენება გაუკეთეს მას სამხრეთ ვიეტნამ-ს მდგომარეობის შესახებ. ამ შეხვედრას დაესწრო აგრეთვე პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში მაკჯორჯ ბანდი.

ლოჯი, მაკნამარა, რასკი და ბანდი მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ჰონოლულუს თათბირში, რომელზეც იხილავდნენ ამერიკის სტრატეგიას სამხრეთ ვიეტნამში ნგო დინ დიემის დამხობის შემდეგ.

საერთაშორისო ცხოვრება

ჯონსონის პოლიტიკის შესახებ

ვაშინგტონი, 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა ჯონსონმა დაადასტურა შეერთებული შტატების დაპირება მოიგოს ომი „კომუნისტური პარტიზანების წინააღმდეგ სამხრეთ ვიეტნამში“.

მან მოუწოდა სამხრეთ ვიეტნამში მყოფ მთელ ამერიკელ პერსონალს, იუწყება სააგენტო, ხელი შეუწყოს ახალ მთავრობას გამაგრდეს საიგონში და უზრუნველყოს, რომ ახალი მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მოიგოს ომი ვიეტკონგის წინააღმდეგ, მხარი დაუჭიროს საზოგადოებრიობამ.

ასეთია არსი მისი საერთო დირექტივისა — პირველი საგარეოპოლიტიკური დირექტივისა, რომელიც გასცა მან ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან ჰენრი კებოტ ლოჯთან და სხვა მაღალი თანამდებობის დიპლომატებთან და სამხედრო პირებთან თათბირის შემდეგ.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა და ამ კომისიის წევრმა ჰიკენლუპერმა მოიწონეს გადაწყვეტილება, რომ რასკი დარჩეს სახელმწიფო მდივნის პოსტზე, და იწინასწარმეტყველეს, რომ ახალი პრეზიდენტი საერთოდ განახორციელებს კენედის საგარეო პოლიტიკას. ეს განაცხადეს მათ ინტერვიუში რადიოთი და ტელევიზიით, რომელიც გადაიცა „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანის“ ქსელით.

ჰიკენლუპერმა აღნიშნა, რომ ჯონსონს აქვს „პრაქტიკული მიდგომა საერთაშორისო კომუნიზმის საფრთხისადმი“ და რომ იგი „ნაკლებად არის თეორეტიკოსი და, ალბათ, ნაკლებ პედაგოგიურია“, ვიდრე კენედი, და ამიტომ იგი, როგორც ჩანს, გამოიჩენს მეტ სიმტკიცეს წითლების მიმართ.

ამერიკა შეაძრწუნა კენედის დაღუპვამ

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი მოკლულია. ამერიკელები გლოვობენ. მათ თავზარი დასცა ამ ტრაგიკულმა სიკვდილმა. კონსტიტუციის თანახმად, შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი გახდა ვიცე-პრეზიდენტი ლინდონ ბეინს ჯონსონი.

საბედისწერო ტყვიამ პრეზიდენტი განგმირა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში, ქალაქ დალასში, ტეხასის შტატში, სადაც თავმოყრილი არიან ნავთობით გამდიდრებული მილიონერები და ულტრამემარჯვენე დაჯგუფებანი, რომლებსაც ისინი აფინანსებენ. კენედი ტეხასში წავიდა სამი დღით პრეზიდენტის 1964 წლის არჩევნებისათვის მოსამზადებელ კამპანიაში გამოსასვლელად. მას განზრახული ჰქონდა მიეღწია ხელახლა არჩევისათვის პრეზიდენტის პოსტზე. 22 ნოემბერს შუადღისას პრეზიდენტის თვითმფრინავი, რომელიც ტეხასის ქალაქ ფორტ-უორკიდან გაფრინდა, დაეშვა დალასის აეროდრომზე, ქალაქის ცენტრიდან ათ მილზე. პრეზიდენტის „ლინკოლნის“ მარკის სპეციალური უსახურავო მანქანით — გაუფრთხილებლობა, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა, — კენედი, მისი ცოლი, აგრეთვე ტეხასის გუბერნატორი კონელი ცოლიანად (პლუს საიდუმლო სამსახურის სამი აგენტი) სხვა მანქანების თანხლებით, რომლებშიც მცველები და შემხვედრნი იყვნენ, მიდიოდა ქალაქში სავაჭრო ცენტრის შენობისაკენ, სადაც პრეზიდენტს სიტყვა უნდა წარმოეთქვა.

თბილი მზიანი დღე იყო. ქუჩაში 250 ათასამდე კაცი გამოსულიყო. „ვგონებ, აქ მეგობრული მიღება მოგველის“, — უთხრა, როგორც იუწყებიან, პრეზიდენტს მისმა ცოლმა ჟაკლინმა. შესაძლოა, ეს უკანასკნელი სიტყვები იყო, რაც მან თავისი ცოლისაგან გაიგონა. 12 საათსა და 30 წუთზე გაისმა სამი გასროლა. ესროლეს პრეზიდენტის მანქანას. მკვლელმა სნაიპერული სიმარჯვით ესროლა ოპტიკურსამიზნიანი მსხვილკალიბრიანი შაშხანა „მაუზერი“. შაშხანა და მკვლელის საუზმის ნარჩენები ნახეს წიგნის საწყობის შენობის მეექვსე სართულზე, სახელმძღვანელოებით სავსე ყუთებს შორის. ტყვია პრეზიდენტს მარჯვენა საფეთქელში მოხვდა. სისხლით მოსვრილი, ცნობადაკარგული კენედი ცოლის ხელებზე დაეცა. მეორე ტყვია გუბერნატორ კონელის მოხვდა. მას ოპერაცია გაუკეთეს, და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშიში არ არის.

წუთიერი პანიკისა და დაბნეულობის შემდეგ პრეზიდენტის შოფერმა დიდი სისწრაფით გააქანა მანქანა ახლომდებარე „პარკლენდჰოსპიტალში“. კენედი და კონელი საჩქაროდ საკაცეებით მიიყვანეს გადაუდებელი დახმარების სათავსში. მაგრამ ვერც ათეულმა ექიმმა, ვერც სისხლის გადასხმამ და ჟანგბადის ბალიშებმა პრეზიდენტს ვერ უშველა. იგი ცნობას აღარ მოსულა. პრეზიდენტ-კათოლიკეს სასიკვდილო სარეცელთან მღვდელი მიიწვიეს. **1963 წლის 22 ნოემბერს ტეხასის დროით დღის პირველ საათზე (მოსკოვის დროით საღამოს 10 საათზე) დაჭრიდან ნახევარი საათის შემდეგ ჯონ ფიტცჯერალდ კენედი, ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთხუთმეტე პრეზიდენტი, გარდაიცვალა ტვინში მიღებული ჭრილობისაგან სიცოცხლის ორმოცდამეშვიდე წელს.** მას პრეზიდენტის პოსტი ეჭირა ორ წელიწადსა და ცხრა თვეს.

ცნობა კენედის სიკვდილის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო მთელ ამერიკას. ორ საათზე ნაკლები ხნის შემდეგ რეაქტიული თვითმფრინავის კაბინაში მტირალი ფედერალური მოსამართლის სარა ჰიუზის წინაშე ჯონსონმა ფიცი დადო როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. მწუხარებისაგან გულმოკლული ქალბატონი კენედი — მისი ტანისამოსი ქმრის სისხლით იყო მოსვრილი — ჯონსონის მარცხნივ იდგა.

მალე პრეზიდენტის თვითმფრინავი, რომელშიც იყო ახალი პრეზიდენტი და ბრინჯაოს კუბო გარდაცვლილი პრეზიდენტის ნეშტით, ვაშინგტონს გაფრინდა.

ამერიკა შეძრწუნებულია. ადამიანები მდუმარე ჯგუფებად იყრიან თავს სატელევიზიო მაღაზიების ვიტრინებთან, ჩართულრადიომიმღებიან მანქანებთან, სატელევიზიო სადგურებმა გლოვის ნიშნად ყველა გადაცემა შეწყვიტეს, გარდა იმ გადაცემებისა, რომლებიც დაკავშირებულია პრეზიდენტის მოკვლასთან და მისი შემცვლელის დაწყებულ მოღვაწეობასთან.

ხელისუფალნი ყველგან გლოვის დღეებს აცხადებენ. ნიუ-იორკის შტატსა და ქალაქ ნიუ-იორკში გამოცხადებულია 30 დღის გლოვა. კინოთეატრები, სანახაობითი დაწესებულებები დახურულია. ბროდვეის რეკლამის ჩირაღდნები ჩააქრეს.

ბირჟა მეტად მგრძნობიარედ გამოეხმაურა დალასიდან მიღებულ პირველსავე ცნობებს. აქციების კურსი დაეცა. პანიკა თავიდან რომ აეცილებინათ, ბირჟები ნიუ-იორკიდან სან-ფრანცისკომდე გუშინ ჩვეულებრივ დროზე ადრე დახურეს.

გაზეთების სასწრაფო გამოშვებანი გამოვიდა ვეებერთელა ანშლაგებით: „პრეზიდენტი მოკლეს“, „პრეზიდენტი მკვდარია“. სარედაქციო სტატიებში, ნეკროლოგებში გაზეთები გლოვობენ განსვენებულ პრეზიდენტს. მაგრამ მწუხარებაში ამერიკელი მიმომხილველები საჭირბოროტო საკითხებს როდი ივიწყებენ, ისინი აკვირდებიან ახალ პრეზიდენტს, რომელიც ბედის ტრიალით თეთრ სახლში აღმოჩნდა — პირველად ამ უკანასკნელ ორ ათწლეულში ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტად ხდება პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ. 55 წლის ლინდონ ჯონსონი კონგრესის დეპუტატია 1937 წლიდან, შემდეგ იგი სენატორი გახდა, ხოლო 1960 წელს ვიცე-პრეზიდენტობაზე მისი კანდიდატურის წამოყენებამდე — სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი. კენედისთან მას ახლო ურთიერთობა არ ჰქონია. მათი ერთობლივი გამოსვლა ერთი „ბილეთით“ 1960 წელს საქმიანი ანგარიშით აიხსნება. კენედი ვარაუდობდა, რომ ჯონსონი შეძლებდა უზრუნველეყო მისთვის დემოკრატების მხარდაჭერა სამხრეთში.

ჯონსონი სამხრეთიდან არის (ამჟამად იგი პირველი სამხრეთელი პრეზიდენტია 1865 წლის შემდეგ). იგი დაიბადა ტეხასში, ესე იგი იმ შტატში, სადაც გუშინ კენედი მოკლეს. ჯონსონებს დიდი რანჩო აქვთ ჯონსონ-სიტის რაიონში და რადიოსადგური ქალაქ ოსტინში. ჯონსონს შუზომიერ სამხრეთელ დემოკრატად არ თვლიან. იგი, კერძოდ, პროპაგანდას უწევდა ზანგების უფლებებისათვის ბრძოლის იმ საკმაოდ შეკვეცილ პროგრამას, რომელიც კენედიმ წამოაყენა. მიუხედავად ამისა, არსებობს აზრი, რომ საშინაო პოლიტიკის სფეროში ახლანდელი პრეზიდენტი უფრო კონსერვატიულ შეხედულებებს ადგას, ვიდრე განსვენებული.

როგორც ადგილობრივ მიმომხილველებს მიაჩნიათ, მოელიან, რომ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში უახლოეს თვეებში ნაკლებად მოსალოდნელია არსებითი ცვლილებანი. ჯონსონს დრო სჭირდება, თავისი კურსი რომ გამოიმუშაოს. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ვარაუდობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ მოსკოვის ხელშეკრულების ხაზს, რომელიც, გაზეთის სიტყვით, „კენედის ძეგლია“.

კენედის სიკვდილი მთელ რიგ სხვა საკითხებსაც აყენებს. ამ საკითხებიდან უკანასკნელი როდია ის, თუ ვინ იქნება არჩეული პრეზიდენტად 1964 წლის ბოლოს? გუშინდლამდე უმრავლესობა ფიქრობდა, რომ კენედისათვის უზრუნველყოფილი იყო ხელახლა არჩევა. გახდება თუ არა ჯონსონი დემოკრატიული პარტიის კანდიდატი მომავალი წლის ნოემბრის არჩევნებში? გაიზრდება თუ არა რესპუბლიკელთა შანსები? ამ კითხვებზე ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს, თუმცა ცხადია, რომ წინასაარჩევნო ბალანსი იცვლება.

კენედი ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე პრეზიდენტია, რომელიც ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მოკლეს. პირველი და ყველაზე ცნობილი შემთხვევაა სამხრეთელთა მომხრის მსახიობ ჯონ ბუტის მიერ პრეზიდენტ ლინკოლნის მოკვლა, რომელმაც მონობის ლიკვიდაცია გამოაცხადა. ლინკოლნი მოკლულ იქნა თითქმის ასი წლის წინათ, 1865 წელს ვაშინგტონის თეატრის ლოჟაში. პრეზიდენტი ჰარფილდი დაიღუპა ვაშინგტონში 1881 წელს. პრეზიდენტი მაკ-კინლი მოკლეს 1901 წელს ბუფალოში.

კენედის მოკვლას ბევრი ამერიკელი აკავშირებს ულტრამემარჯვენე, რასისტული ელემენტების საქმიანობასთან. „ტეხასში კაცის მოკვლა შეუძლიათ. ხომ პირში აფურთხებდნენ სტივენსონს. რა უყვეს პრეზიდენტს?“ — ასე უპასუხა „ნიუ-იორკ პოსტის“ კითხვაზე ნიუ-იორკის მცხოვრებმა ქალმა მაურინ ვარგამ. მას მხედველობაში ჰქონდა ის აღმაშფოთებელი შემთხვევა, რომელიც იმავე დალასში მოხდა 24 ოქტომბერს, როცა ულტრამემარჯვენეები, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუსწორდითო, პირში აფურთხებდნენ და პლაკატი დაარტყეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სტივენსონს. დალასი ცნობილია როგორც ბირჩისტებისა და სხვა „ცოფიანების“ ბუნაგი. მაგალითად, იქ ცხოვრობს სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი ნახევრადფაშისტი უოკერი, რომელსაც ეიზენჰაუერი და კენედი „კომუნისტებად“ მიაჩნდა და რომელიც გასულ შემოდგომაზე სათავეში ედგა მისისიპის უნივერსიტეტში მომხდარ სისხლიან ამბოხებას, როცა იქ ზანგ სტუდენტს ჯეიმს მერედიტს იღებდნენ.

ახლა ნიუ-იორკში გვიანი ღამეა. შავი პარასკევი გათენდა. დადგა შაბათი, მაგრამ ისიც საკმაოდ შავბნელია. ამერიკა ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს გუშინდელი ამბის შემდეგ. ამერიკას სურს ხვალინდელ დღეში ჩაიხედოს.

ს. კონდრაშოვი,
„იზვესტიის“ საკ. კორ.
ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი.

თეთრი ძაფით ნაკერი

მკვლელობა საიდუმლოებით არის მოცული

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ გუშინ ქალაქ დალასის მცხოვრებს ჯეკ რაბის წაუყენეს ბრალდება, რომ მან მოკლა ლი ჰარვი ოსვალდი.

იუწყებიან, რომ ჯეკ რაბი, 52 წლისა, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ექვსჯერ იყო დაპატიმრებული სხვადასხვა დანაშაულისათვის, კერძოდ იარაღის უკანონოდ შენახვისათვის.

ცნობილი გახდა ოსვალდის მკვლელობის დეტალები. რაბიმ სასიკვდილოდ დაჭრა იგი პისტოლეტის ტყვიით იმ მომენტში, როცა ოსვალდი უნდა ჩაესვათ ჯავშნიან ავტომობილში და გადაეყვანათ საოლქო საპატიმროში.

პატიმარ ოსვალდის გადაყვანის ოპერაცია, ქალაქ დალასის პოლიციის მოხელეთა სიტყვით, ხორციელდებოდა „უსაფრთხოების საგანგებო ღონისძიებათა“ დაცვით.

მაგრამ, როგორც უცხოეთის სააგენტოები აღნიშნავენ, პოლიციას დღემდე ვერ აუხსნია, როგორ შეაღწია რაბიმ პოლიციის სამმართველოს სარდაფში, რომელსაც მკაცრად იცავდნენ. რაბიმ, როგორც ეს სააგენტოები იუწყებიან, არა მარტო შეძლო თავისუფლად შესულიყო პოლიციის შენობაში, სადაც მკვლელობა ჩაიდინა, არამედ ჯერ კიდევ სანამ ოსვალდს საკნიდან გამოიყვანდნენ, საკმაოდ თავისუფლად ეჭირა თავი ამ შენობაში, მიესალმებოდა რეპორტიორებს, ეპატიჟებოდა მათ თავის ღამის კლუბში.

კომენტატორები ყურადღებას აქცევენ დალასის პოლიციის „დაუდევრობას“, რომელმაც ვერ შეძლო პოლიციისავე შენობაში თავიდან აეცილებინა ბრალდებულის მოკვლა. ამასთან აღნიშნავენ, რომ საპოლიციო უბანში უშვებდნენ მხოლოდ პოლიციელებსა და ჟურნალისტებს, რომლებსაც სპეციალური საშვები ჰქონდათ. ამ უკანასკნელთ კიდევაც ჩხრეკდნენ, რათა შეემოწმებინათ, ხომ არა აქვთ თან სასროლი იარაღი.

გარკვეული წრეები ცდილობენ დალასში ჩადენილი საზიზღარი დანაშაული გამოიყენონ ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ისტერიის გაღვივებისათვის.

ამავე დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა წრე განისაზღვრა ერთი ადამიანის პიროვნებით. სრულიად უარყოფილია იმის შესაძლებლობა, რომ მკვლელობა შეიძლება ჩაედინოს სხვა ვინმეს. ამჟამად ცდილობენ ოსვალდის მკვლელი — ჯეკ რაბი, ადამიანი, რომელსაც სისხლის სამართლის დამნაშავის წარსული აქვს, დაგვიხატონ როგორც პატრიოტიზმით გამსჭვალული კაცი, როგორც განსვენებული პრეზიდენტის „თაყვანისმცემელი“. ოსვალდის სიკვდილის შემდეგ კენედის მკვლელობის საქმის გამოძიება შეწყდა.

პრეზიდენტ კენედის ტრაგიკული დაღუპვის ყველა გარემოება საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ ეს მკვლელობა მოამზადეს და განახორციელეს ულტრამემარჯვენეებმა, ფაშისტურმა და რასისტულმა წრეებმა, იმათ, ვისაც არ მოსწონთ არც ერთი ნაბიჯი, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება.

ლი ოსვალდის „საიდუმლოებით მოცულმა“ მკვლელობამ, რომელსაც ბრალად ედება პრეზიდენტ კენედის მოკვლა, ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოთა და კუბის საწინააღმდეგო ისტერიას, რის გაღვივებასაც ცდილობს ბულვარული პრესა, რათა ყურადღება ჩამოაშოროს იმათ, ვინც ეს საზიზღარი დანაშაული ჩაიდინა. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არც ერთ სოლიდურ გაზეთს, არც ერთ ცნობილ კომენტატორს არ გაუმეორებია პოლიციის ვერსია ოსვალდის „კომუნისტური“ კავშირურთიერთობის შესახებ. ქალაქ დალასის რაიონული პროკურორი უეიდიც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „არ ყოფილა იმის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ოსვალდი კომუნისტური პარტიის წევრია“. ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გაავრცელა სრული ტექსტი დისკუსიისა, რომელიც ნიუ-ორლეანის რადიოთი გაიმართა 21 აგვისტოს და რომელშიც ოსვალდი მონაწილეობდა. ამ რადიოგადაცემაში ოსვალდი ცილს სწამებდა საბჭოთა კავშირს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ იგი „მარქსისტია და არა კომუნისტი“ და „ამტკიცებდა“, რომ ამ ორ ცნებას შორის დიდი განსხვავებაა. პრესაში გაიელვა აგრეთვე ფრიად მრავალმნიშვნელოვანმა ფაქტმა: ოსვალდი ცდილობდა შესულიყო კუბელი კონტრრევოლუციონერი ემიგრანტების ორგანიზაციაში.

ცნობილია, რომ მთელ ანტიკომუნისტურ ისტერიას საფუძვლად ედო დალასის პოლიციის მოხელეთა ჩვენებანი, რომლებიც ჟურნალისტებს აცნობდნენ „ოსვალდის ჩვენებებს“. მაგრამ ახლა ძლიერ სახელგატეხილი პოლიცია უარს ამბობს დაკითხვის მასალების გამოქვეყნებაზე.

ეს არის თეთრი ძაფით ნაკერი პროვოკაცია. ამერიკელები დიდი ხანია მიეჩვივნენ იმას, რომ სამხრეთ შტატების პოლიცია ყოველთვის ცდილობს რასისტების ან საკუთარი დანაშაული დააკისროს „კომუნისტებს“ და „უცხოელ აგიტატორებს“.

სავსებით ცხადია, თუ რომელი მხრიდან იყო მოსალოდნელი ეს სროლა. კუკლუქსკლანელთა და „თეთრკანიან მოქალაქეთა საბჭოების“ ყველა თავყრილობაზე პრეზიდენტ კენედისა და მის ძმას — იუსტიციის მინისტრს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ როგორც „ზანგთა მოყვარულებს“. თვითონ დალასში პრეზიდენტის ჩამოსვლის დღეს ულტრამემარჯვენეებს ჩამოართვეს კენედისადმი მტრული პლაკატები და ფარები, რომლებზეც პრეზიდენტის პორტრეტის ზემოთ წარწერილი იყო როგორც გაქცეულ დამნაშავეთა პორტრეტებზე: „ვეძებთ როგორც მოღალატეს“.

დალასის რეაქციულმა გაზეთმა „დალას ნიუსმა“ კი კენედის ჩამოსვლის დღეს „როგორც განცხადება“ დაბეჭდა გვერდი, სადაც ფრაზას „კეთილი იყოს მისტერ კენედი, თქვენი მობრძანება დალასში“, მოსდევდა მთელი რიგი პროვოკაციული კითხვები, მაგალითად: „რატომ უბრძანეთ... თქვენს ძმას ბობის, იუსტიციის მინისტრს, ახორციელებდეს ლმობიერ პოლიტიკას კომუნისტების, თანამგზავრებისა და უკიდურესი მემარცხენეების მიმართ ამერიკაში და ამავე დროს ნებას აძლევთ მას დევნიდეს ლოიალურ ამერიკელებს, რომლებიც გაკრიტიკებენ თქვენ, თქვენს მთავრობასა და თქვენს ხელმძღვანელობას“.

აი ასე მოკლეს „მკვლელი“. ფოტო აპ-სააგენტო „ახალი ამბებისა“.

ამერიკის პრესას მოჰყავდა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ იმ მომენტში, როცა მთელი ერი გლოვობს და დამწუხრებულია, ულტრამემარჯვენე ორგანიზაციათა არამზადები ძლივს ფარავენ თავიანთ სიხარულს.

თუმცა, ამერიკელი ულტრების ყველა მეთაურმა, მათ შორის გენერალმა უოკერმაც, გააკეთეს განცხადებანი, რომ „დამწუხრებული“ არიან დანაკლისის გამო! ეს ძველი ფანდია! ბალტიმორის გაზეთმა „სანმა“ გუშინ გამოაქვეყნა კარიკატურა, რომელიც დასცინის ამ თვალთმაქცობას. კარიკატურაზე გამოსახულია წამქეზებელი — „სიძულვილით მოვაჭრე“, რომელსაც გველის ენა გამოუყვია, სისხლში მოსვრილი ხელით კი უჭირავს კარაბინი, რომლიდანაც ჯერ კიდევ ბოლი ამოდის. წარწერა: „რა ვიცოდი, რომ ისროდა!“

ბევრი ამერიკელი უარყოფს რა პოლიციის ინსინუაციებს კომუნისტთა მიმართ, თავდაპირველად ფიქრობდა, რომ პრეზიდენტის მკვლელობა შეიძლება ნახევრად შეშლილი ფანატიკოსის საქმე იყოს. მაგრამ ოსვალდის მკვლელობამ ეს ვარაუდიც ჩაკლა.

ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში ათობით ინტერვიუ ჰქონდათ პირველ შემხვედრებთან, თუ რა აზრი მოუვიდათ ერთსა და იმავე დროს თავში სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა ადგილებში მას შემდეგ, რაც დალასის საპოლიციო უბანში მოჰკლეს ოსვალდი.

„იქნებ იგი მოკლა თანამონაწილემ, რათა ჩაეჩუმებინა“ (ტაქსის შოფერი პოულოსი, ჩიკაგო).

„ალბათ ამ საქმეში სხვებიც არიან გარეული“ (ლუის ზალცმანი).

სამი საათის შემდეგ, რაც ოსვალდი მოკლეს, დალასის პოლიციამ გამოაცხადა, რომ რამდენადაც ერთადერთი ბრალდებული მკვდარია, გამოძიება პრეზიდენტის მკვლელობის საქმის გამო წყდება, და რომ ჯეკ რუბინშტეინს (მეტ სახელად რუბის), რომელმაც ოსვალდს ესროლა, გაასამართლებენ ჩვეულებრივი მკვლელობისათვის.

ამავე დროს დალასიდან ტელევიზიით გადასცემენ რუბის დისა და მეგობრების განცხადებებს, რომლებსაც უნდა „დაემტკიცებინათ“, თითქოს რუბიმ ოსვალდი მოჰკლა წმინდა „პატრიოტული განზრახვით“.

„საიდუმლოებით მოცული“ რჩება, თუ რატომ შეუშვა პოლიციამ შენობაში, სადაც ბრალდებული იყო, განგსტერი რუბი, რომლის შესახებ კ მას უამრავი მასალა აქვს (სპეციალურ რეპორტიორებს უშვებდნენ განსაკუთრებული ბარათებით და წინასწარ ორჯერ ჩხრეკდნენ. და ეს ერთ-ერთი კითხვაა იმ მრავალ კითხვას შორის, რომლებიც შეეხება დალასის პოლიციის საქციელს მთელ ამ დანაშაულებრივ საქმეში.

მაგრამ დალასის პოლიციის ცდა შეეწყვიტა პრეზიდენტის მკვლელობის საქმე — ჩაიშალა. მეტის მეტი აჩქარება საქმის მიჩქმალვისადმი მისწრაფებაში მარტო დალასის პოლიციას როდი მიაყენებდა ესოდენ დიდ ჩრდილს.

უკანასკნელი ცნობებით, იუსტიციის სამინისტრომ, რომელსაც განსვენებული პრეზიდენტის ძმა მეთაურობს, გამოაცხადა, რომ იგი განაგრძობს გამოძიებას.

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იტყობინება: დალასის რეაქციული ძალები კვლავ ტერორით აშინებენ ქალაქს. უცნობი პირები ტელეფონით რეკავენ და იმუქრებიან, რომ ააფეთქებენ ადგილობრივი გაზეთის შენობას, კათოლიკურ ეკლესიას გარეუბანში, გაუსწორდებიან ფედერალურ მოსამართლეს ჰიუჯესს, რომლის წინაშე ფიცი დადო ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა. ამერიკელი კოსმონავტის გლენის თვითმფრინავი, რომელიც ვაშინგტონში მიემართებოდა, თითქმის ორი საათით დააკავეს დალასში — ეძებდნენ ბომბს, რომლის შესახებაც აგრეთვე ტელეფონით აუწყეს უცნობმა პირებმა.

უკვე სულ ცოტა მეასეჯერ უჩვენებენ უკანასკნელი 12 საათის განმავლობაში ტელევიზორის ეკრანებზე სცენას, თუ როგორ მოკლა ოსვალდი ღამის კლუბის პატრონმა რუბინშტეინმა, რომელსაც ქალაქის პოლიცია მეგობრულად რუბის ეძახის. ბევრი ამერიკელი დღეს თავის თავს ეკითხება, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი: „ლი ოსვალდმა ნამდვილად მარტომ ჩაიდინა ყოველივე ეს, თუ მას ჰყავდა თანამონაწილე, რომელმაც მოკლა ოსვალდი, რათა ჩაეჩუმებინა იგი“.

გაზეთები დაწვრილებით აღწერენ ახალ დამნაშავეს, მაგრამ ჯერ არც ერთ გაზეთს, არც ფედერალურ ხელისუფლებს, არც დალასის პოლიციას არ გაუცია პასუხი მთავარ კითხვაზე — როგორ შევიდა რუბინშტეინი პოლიციაში და ამასთან შეიარაღებულიც.

პირველ დაკითხვებზე ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ამბობს ღამის კლუბის მფლობელიც, იქნებ, მისთვის არც უკითხავთ ეს. გუშინ საპოლიციო უბანში რუბი დამ ინახულა. რუბი დაამშვიდა, ნურაფერზე წუხარო. „ჯანზე კარგად ვარ, — მოჰყავს მისი სიტყვები იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს, — გამომძიების ფედერალური ბიუროსა და პოლიციის თანამშრომლები კარგად მექცევიან. მყავს მეგობრები“. ეს მეგობრები, იუწყება როიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დალასიდან, ცდილობენ რუბის განთავისუფლებას თავდებით. მათ კორესპონდენტს უთხრეს, რომ თავდების თანხის განსაზღვრის დროს „მხოლოდ ცა შეიძლება იყოს ზღვარი“, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მისი მფარველები არ დაიშურებენ ფულს რუბის განთავისუფლებისათვის.

...ონ ფ. კენედის ...კრძალვის გამო

...ინგტონი, 24 ნოემბერი. (საკ-... დღეს თეთრმა სახლმა ოფი... ...ურად გამოაცხადა, რომ ამე... ...შეერთებული შტატების გან... ...ბულ პრეზიდენტს ჯონ ფ. კე... ...დაკრძალავენ არლინგტონის ...ლაოზე ვაშინგტონში 25 ნო... ...ს.

...თრი სახლის განცხადებაში აღ... ...ულია, რომ დაკრძალვის ად... ...არჩევისას გაითვალისწინეს ...ის ოჯახის სურვილი.

...ავდასხმა ...სვალდზე

...-იორკი, 24 ნოემბერი. (საკ-... დღეს ლი ჰარვი ოსვალდს, ...ლსაც ბრალად ედება ამერიკის ...ბული შტატების პრეზიდენ... ...ონ ფ. კენედის მოკვლა, თავს ...ნენ იმ დროს, როცა იგი ქა... ...საპატიმროდან საოლქო სა... ...რომში გადაჰყავდათ. უცნობი ...კაცი, რომელმაც ოსვალდს ...ლა, პოლიციამ დააკავა. ოს... ...გონდაკარგული მიიყვანეს ...ტალში, სადაც გარდაიცვალა ...ენტი კენედი.

...დზე თავდამსხმელის ...ობა გამორკვეულია

...იორკი, 24 ნოემბერი. (სა-... ...იმ კაცის ვინაობა, რომელ... ...ჰარვი ოსვალდს ესროლა, ...კვეულია. იგი ქალაქ დალა... ...ცხოვრებია, სახელად ჯეკ რა... ...ორე ხარისხოვანი ღამის ...ს მფლობელი. პოლიციამ ...ტორებს განუცხადა, რომ ...კარგად იცნობს. პოლიციას ...უმარტავს, როგორ შეაღწია ...საპოლიციო უბანში, როცა ...დი გადაჰყავდათ.

...ტალიდან, სადაც ოსვალდი ...ნეს, მოვიდა ცნობა, რომ ოს... „მეტად სერიოზულ მდგო... ...ბაშია“.

...ვალდი გარდაიცვალა

...იორკი, 24 ნოემბერი. (სა-... ...ლი ჰარვი ოსვალდი, რო... ...დღეს თავს დაესხნენ, გარ-...

...ეზიდენტის ...ნკარგულება

...ორკი, 25 ნოემბერი. (საკდე-... ...ერთებული შტატების პრეზი... ...ლინდონ ჯონსონმა გუშინ ...ულება მისცა გამოძიების ფე... ...ური ბიუროს დირექტორს ჰუ... ...მოძიოს პრეზიდენტ კენედის ...ობაში ეჭვმიტანილი ოსვალ... ...ვლის ყველა გარემოებანი.

საბჭოთა პიანისტების გამარჯვება

პარიზი, 24 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა პიანისტებმა ვიქტორ ერესკომ და ოქსანა იაბლონსკაიამ მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის მევიოლინეთა და პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე ორი პირველი პრემია მიიღეს.

საბჭოთა კოსმონავტები ცეილონში

კოლომბო, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს საბჭოთა კოსმონავტები სტუმრად იყვნენ დედაქალაქის სკოლებისა და კოლეჯების მოსწავლეებთან, რომლებმაც სტუმრებისათვის ეროვნული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვამ პრიზები გადასცა საბჭოთა კავშირის შესახებ საუკეთესო თხზულებისათვის კონკურსში გამარჯვებულთ. ცეილონ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ლიგაში სტუმრები დაესწრნენ რუსული ენის კურსების მეცადინეობას და ხელი მოაწერეს საპატიო სტუმართა წიგნში. ამ წიგნში იური გაგარინის ავტოგრაფიც არის.

შემდეგ საბჭოთა კოსმონავტების პატივსაცემად დამოუკიდებლობის მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა მ. სირივარდენამ. გულთბილი სიტყვა რუსულ ენაზე წარმოთქვა სტუდენტმა ს. სამარასინგჰემ. ცეილონის კომუნისტების სახელით სტუმრებს მიესალმა კომპარტიის თავმჯდომარე ს. ა. ვიკრემასინგჰე და გენერალური მდივანი პ. კეინემანი.

„ძვირფასო მეგობრებო, ნება მომეცით საბჭოთა კოსმონავტების სახელით გადმოგცეთ მხურვალე კოსმოსური სალამი, — თქვა საპასუხო სიტყვაში ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვამ, რომელსაც მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ, — ჩვენი ვიზიტი თქვენს ქვეყანაში მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტია, გულითად მადლობას გიძღვნით გულთბილი შეხვედრისათვის და დიდ წარმატებებს გისურვებთ ცხოვრებასა და შრომაში“.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს, აგრეთვე ა. ნიკოლაევმა და ვ. ბიკოვსკიმ.

საღამოს, სსრ კავშირის ელჩმა ცეილონში ნ. ი. ტარაკანოვმა სტუმრების პატივსაცემად გამართა დიდი დარბაზობა.

ტელეგადაცემა ოკეანეზე გავლით

ტოკიო, 25 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ წარმატებით განახორციელეს დღეს ორი სატელევიზიო გადაცემა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „რილეი-1“ საშუალებით. ეს გადაცემები წარმოებდა კალიფორნიის შტატიდან, თანამგზავრის „რილეი-1“ საშუალებით, რომელიც 4 ათას მილ სიმაღლეზე იყო იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ეს გადაცემები მიიღო კოსმოსური კავშირის ექსპერიმენტულმა სადგურმა ქალაქ ძიუოში (იბარაკის პრეფექტურა). იაპონიის ტელევიზორთა ეკრანებზე გამოსახულება მკაფიო და მყარი იყო.

იაპონელ სპეციალისტთა აზრით, ახლანდელი ექსპერიმენტის წარმატება იმის იმედს იძლევა, რომ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები გამოიყენონ ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიურ ასპარეზობათა ტელეგადაცემების რეტრანსლაციისათვის.

ლეონიდ ლეონოვი

Evgenia Ivanovna

მოთხრობა

ნაირისფერ ბურუსში შორიახლო მოცურავდნენ სანაპიროს განთქმული ქალაქები, რომელნიც ოდესღაც, პიკერინგის სიტყვით, ჩირაღდანივით ანათებდნენ აღმოსავლეთის ისტორიაში. თუ დამასკოში გაჩერდნენ, რათა ომაიადების მაზგითიდან მოესმინათ მუეძინის კლასიკური ღიღინი, გვერდს ვერ უვლის ვერც პალმირას — სამაგალითოს, ყოფილი დიდებისა და ნგრევის სანახაობას, სადაც ერთი ძირი პალმაც კი არ იყო. სწავლულ არაბს ადგილობრივი მუზეუმიდან, რომლის გარეგნობა მოგაგონებდათ მარონიტთა პატრიარქს მრგვალი ქუდისა და წარმტაცი ქლამიდის გამო, რომლის ქვემოთ ნელნელა მიბაკუნებდა გაცვეთილი ევროპული ფეხსაცმელი, სტუმრები დაჰყავდა ყოფილ ნეკროპოლებს, საკურთხევლებსა და აკვედუკებს შორის. ფათალოს დაკვანძული ძარღვები შემოხვეოდა აქა-იქ დარჩენილ სვეტებს და ჩაბღაუჭებოდა კაპიტლების ჩუქურთმებს. ხვიარა ვარდის ბუჩქი, თავით ფეხებამდე აყვავებული, ეკინწლავებოდა მას ადგილის გამო. მოხუცი ერთ აგურსაც არ ტოვებდა აუხსნელად, მოკრძალებით ებრძოდა თვლემას. ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს არაფრად არ ვარგოდა, თუ არა ტურისტთა ელეგიური ტკბობისათვის... მაგრამ თუ თავდაპირველად ქვის ეს უსახო დახორება მხოლოდ მოწყენილობას ჰგვრიდა ევგენია ივანოვნას, იგი თანდათანობით ეჩვეოდა ეპოვნა მათში ასაკის, სტილის, ეროვნული იერის, რელიგიური კუთვნილების გამოსაცნობი ნიშნები.

სანამ აწმყოში დაბრუნდებოდნენ, ოთხივენი ისხდნენ ნამსხვრევებზე სიჩუმეში, რასაც არღვევდა მხოლოდ ფოთლების იდუმალი შრიალი: მშრალი ქარშოშინა სირიული შმუკი, ნელა უქრიდა აღმოსავლეთიდან და ქვათა ხვრელების ფლეიტებით გამოჰყავდა რაღაც ქართული ველური რეკვიემი. ყომრალ-ყვითელი, შავფაფრიანი ლომის მსგავსი ღრუბელი იჭრებოდა ლურჯ ცაში და ეფინებოდა შორეული, თუ მეხსიერება არ ტყუოდა, ანტილიბანის მთაგრეხილის კალთებს.

— რა ავი, მოუსვენარი მტვერია აქ!.. თქვა ერთხელ ევგენია ივანოვნამ და ტუჩებზე მიიფარა ქუდის ცისფერი დოლბანდის ბოლო. — რუსული ნათლისღების ყინვა ანცი, გულკეთილი პაპაა ამასთან შედარებით...

— ნუ გაუჯავრდებით მას, ქენი, — მიუგო ინგლისელმა, რომლის ხმას გარშემო ქვიშის ღრჭიალი ახშობდა, — თქვენს წინაშეა ბიბლიურ სამეფოთა თიხის ფერფლი. მას მეტად ბევრი რამ ახსოვს, რომ არ გაცივდეს, შეურიგდეს, მიეცეს დამსახურებულ დავიწყებას...

მისტერ პიკერინგი რუსულად ლაპარაკობდა სასაცილო შესწორებებით, რომელთაგან ევგენია ივანოვნამ იმჯერად ერთიც ვერ შენიშნა. იგი ხმამაღლა ფიქრობდა ადამიანის დაუცხრომელი პლაზმის გიგანტურ შენადედებზე, განუწყვეტლივ, საუკუნეთა განმავლობაში ამ ნიადაგიდან რომ წარმოიშვებოდა, არსებითად ერთადერთი მიზნით — მკერდით შეტაკებოდა სხვა კილოკავების ურდოებს, რათა მახვილებით განეგმირათ ერთმანეთი დემონებისათვის, რომელთაც იმდროინდელი სამყარო ეპყრათ, და უდრტვინველად გამდნარიყო იმავე მტვრის კორიანტელში. იმ დროიდან, პიკერინგის დასკვნით, დიდი ნაცარი იტანჯება და აქეთ-იქით ეხლება, რათა იპოვნოს წინანდელი სახეობანი, როცა იგი იყო ლამაზმანის კულული, მგალობელი ჩიტის ყელი, ზაფრანის ფურცელი.

— არც თუ მეტად ლამაზი გამომდის?—შეაცბუნა იგი ევგენია ივანოვნას დაჟინებულმა ცქერამ.

— განაგრძეთ... — წაიჩურჩულა მან და დაანახვა ხვლიკი, ნანგრევთა კბილა, რომელიც იმისათვის მოუცუნცულდა, რომ ყური დაეგდო, და შეეხო პიკერინგს ხელს. — მხოლოდ ნუ ღელავთ აგრე.

— აი, ისინი ყველანი წავიდნენ, მაგრამ წინანდებურადვე აქ არიან! — და ფეხქვეშ აღებული ერთი მუჭა ფერფლი ნისლოვან ნაკადულებად დაებნა კარგად მოუჭრელ თითებს, — არაფერი არ დაკარგულა... ისტორიასა და ბიოლოგიაში, როგორც არმიაში: სათადარიგოში ჩარიცხვისას ქონება ცეიგჰაუზს გადაეცემა ხოლმე. შეიბრალეთ იგი, ქენი, ნუ ემდურით წინანდელი ცხოვრების ფერფლს იმის გამო, რომ იგი ელტვის, ეხუტება ცოცხლებს.

ჩვეულებისამებრ ლექცია დაამთავრა სექტების, დინასტიების, დესპოტებისა და სხვა ისტორიული დოლაბების ჩამოთვლით, რომლებმაც ხელი შეუწყეს მადნების, ნაყოფის, ძვლებისა და ძვირფასეულობის მტვრად გადაქცევის ახლანდელ ნაწილებს.

მგზავრები მთელი ერთი კვირით დაყოვნდნენ დამასკოში. არაბმა მეგობარმა სანუკვარ კოლოფივით გადაუხსნა სტუმრებს თავისი ქალაქი, რომელიც ესოდენ უყვარდათ მაჰმადს, მოავიასა და სალადინს. სტუმრები ხანდახან შევიდოდნენ ხოლმე ადგილობრივი სომხის ყავახანაში — მსოფლიოში არსად არ იცოდნენ ისეთი ყავის მომზადება; იქ უნდა მისულიყავ უცნაური ქუჩაბანდებით, სადაც ცხვრის ხორცისა და ნუშის სუნი იდგა. შიგაეზოში შადრევანი ჟღურტულებდა მოზაიკურ თასში და პატეფონი ახიწინებდა ომისშემდგომ წლებში მოდურ ალილუიას, რასაც ზოგჯერ ძაღლის წკმუტუნი ერთვოდა. დროდადრო ყავახანის პატრონი ფეხის კვრით გააგდებდა ხოლმე დახლიდან მაწანწალა ძაღლს, მისი დუქნის ღირსებას რომ ბღალავდა უცხოელთა თვალში.

— ვეღარ ვცნობ ჩემს კეთილ მასწავლებელს, — ხუმრობით, ალერსით უთხრა როგორღაც ერთხელ ევგენია ივანოვნამ. — დღეს მთელი სეირნობის დროს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. თავი მობეზრა ყველაზე უნიჭო მოწაფემ.

— პირიქით, მთელი დღე მოწყენილი ვიყავი უთქვენოდ. ეს დღე თქვენ სხვასთან გაატარეთ, უსაყვედურებდით, მოუწოდებდით მას, მაგრამ ხელსა ჰკრავდით, როცა იგი მოვიდოდა. იგი რა ცუდი კაცია?

შეშფოთებულმა ევგენია ივანოვნამ თავი დახარა:

— არა, იგი უბედური და მკვდარია. არ მინდა ცუდი რამ ვთქვა იმაზე...

— ო, მე არ მაინტერესებენ ჩემი თანამშრომლების ნაცნობები.

ეს წამიერი იეჭვიანობა გახდა იმის საბაბი, რომ მისტერ პიკერინგისათვის გაეზიარებინა თავისი ცხოვრების მოთხრობა. ევგენია ივანოვნას არ დაუმალავს არაფერი, გარდაცვალებულის გვარის გარდა, და ღირსშესანიშნავია, რომ იმ დროიდან სტრატონოვმა, თითქოს შერცხვაო, შეწყვიტა სტუმრობა თავის ყოფილ ცოლთან. უკანასკნელად გაახსენა თავი ერთ თვალწარმტაც ოაზისში დამასკოს ახლოს, სადღაც ელ-ჯუდში, ან უფრო სწორედ — ჰამიზში, სადაც მგზავრები ადგილობრივ დოლზე მიიწვიეს.

იმ დღისა არაფერი არ დახსომებია ევგენია ივანოვნას: არც ცის დამაბრმავებელი სილურჯე, არც საცხენოსნო სპორტის დამფასებელთა ხორხისმიერი შეძახილები. იგი სინამდვილეს დაუბრუნეს ცხენის ოფლის სუნმა და კბილებში უეცრად ახრამუნებულმა სილამ, როცა მოხრუკული და მოღუშული შეიჰს სიგნალით ზოლებიან მოსასხმელებიანმა ცხენოსნებმა მხედრული ყიჟინით შეუტიეს მოჩვენებით მტერს. მათ გაიქროლეს ახლოს და, უზანგებზე შემდგარნი, ისროდნენ თოფს განსახორციელებელი ღონისძიების სერიოზულობის ნიშნად. ღვთისა და ადამიანებისადმი მადლიერების ცრემლი მოადგა თვალზე ევგენია ივანოვნას. ეს იყო გაჭირვების, დამცირებისა და შიშის, გულის გამაწვრილებელი წლების განმუხტვა. ასე ეგონა, ირგვლივ ყველაფერი იზიარებდა მისი არსებობის სიხარულს: ბალნიანი ჩიყვის მქონე ხეპარეც კი, ლასლასით რომ გადავლო სარბენელი გზა, დაგეშილი მიმინოც კი, ესოდენ ამაყი თავი რომ ჰქონდა და ჯოხზე მჯდომი მიჰყავდათ პატრონის უკან. ფიქრები განერიდნენ ევგენია ივანოვნას გარდა ერთისა „რამდენი, კიდევ რამდენი დამრჩენია მარაგში?" და სულ გამოაკლო თავისი ოცდაოთხი წელი ადამიანის სიცოცხლის შესაძლებელ ვადას. იწყებოდა გამოჯანსაღება წარსულისაგან, და მაშინ სტრატონოვი განვიდა მისი გულიდან, მაგრამ გავიდა ისე დაუდევრად, რომ ქალი ტკივილისაგან წაიქცეოდა, მისტერ პიკერინგს რომ ხელი არ შეეშველებინა. და შემდეგ ინგლისელი გაცივებულ თითებს უზელდა სკამქვეშ, სანამ ყინული არ გაუდნა ხელის გულში. ევგენია ივანოვნამ მადლობა გადაუხადა ცრემლიანი თვალის ხანგრძლივი ცქერით... იმ ღამეს ყოფილი ქმარი უკანასკნელად ეჩვენა სიზმრად.

თითქოს შუაღამე და გაუვალი ხეობებია გარშემო, მაგრამ არც კლდეები მოჩანს და არც საკუთარი ფეხები ბილიკებზე, სრულიად არაფერი. გულის გამაწვრილებელი შეშფოთება გიკარნახებს, რომ ეს უბრალო ხეობა როდია, არამედ სასაზღვრო ხეობა, და ღამის მიღმა უზარმაზარი რუსეთია. აქ სადღაც იმალება სტრატონოვი, და აქვე რაღაც უცნაური, მოღუტუნე ცნობისმოყვარეობაა: რას აკეთებს იგი ასეთ წყვდიადში? და საპიროა სადღაც ძლიერ იჩქაროდე, თორემ მერმე გვიან იქნება. აჰ აი ისიც, კინაღამ ფეხი დააბიჯა, ზედ ფეხებთან წევს ფერდობზე, თავი დამშრალი ნაკადულის კალაპოტში გადაუკიდია, მაშასადამე, სრულიადაც არა აფრიკის ლეგიონში, არამედ სწორედ აქ დაუხვრეტიათ იგი ნებადაურთველად სამშობლოში დაბრუნების თვითნებური ცდის გამო... მაგრამ ევგენია ივანოვნას რატომღაც არ სჯერა მატყუარასი: რიყეზე ფეხი უსხლტება და ვითომ ფონის ძებნაში შემთხვევით უვლის გვერდს მწოლიარეს, თვითონ კი ირიბული ცქერით ეძებს მკერდის სხეულზე ტყვიით გახვრეტილ ადგილებს, ისინი კი არ არის. თითქოს შუბლზე კიდევაც შავად მოჩანს რაღაც, მაგრამ ეშინია დაიხაროს და თითებით მოსინჯოს, რათა დარწმუნდეს: ერთიც ვნახოთ, ხელი მტაცა!... უეცრად აღმოჩნდება, რომ იგი სავსებით მოკლული კი არ წევს, არამედ სრულიად პირიქით, წევს და, ესოდენ ცივად, ესოდენ ულმობლად აკვირდება მოხუჭული თვალით თავის ყოფილ ცოლს... და გაღვიძებისას ისე შეიპყრო ყინულოვანმა შიშმა, რომ როგორც იყო ნახევრადშიშველი, სიცხის გამო, ევგენია ივანოვნა მეზობელ ოთახში შევარდა, დოლბანდის ჩარდახი გადასწია, პიკერინგს ლოგინში შეუგორდა და მისგან დაცვასა და სითბოს ეძებდა.

სრულდებოდა ინგლისელის სანუკვარი ოცნება, მაგრამ თავდაპირველად მიკარებასაც ვერ უბედავდა საყვარელ ადამიანს, რადგან თავი საფუძვლიანად მიაჩნდა მის უბედურებათა ჯაჭვის უკანასკნელ რგოლად. ხოლო როცა მოწიწების ბუნებრივმა დამბლამ განვლო, მათი საქმე უფრო მხიარულად წავიდა. ერთი საათის შემდეგ ევგენია ივანოვნამ მთვარის სინათლეზე დაინახა თავისი შიშველი ფეხები და ცოდვილი სიცილით გადაიზნიქა გადავარდნილი ზეწრის ასაღებად. იმ ღამეს მათ შორის შექმნილი ურთიერთობა შემდეგ ცვალებადი წარმატებით ვითარდებოდა და იურიდიულად განმტკიცდა ერთი თვის შემდეგ, როცა თურქეთის საზღვარზე გადავიდნენ. თავისი მეუღლეობის წყალობით ევგენია ივანოვნამ ბოლოს მოიპოვა შესაძლებლობა უშფოთველად ეფიქრა ხვალინდელ დღესა და პურზე.

მოგზაურობის თურქული ნაწილი გრძელდებოდა მიყრუებულ მხარეში, სადაც აუცილებლად უნდა ენახათ ისტორიულად საინტერესო პუნქტები და საითკენაც მგზავრები მიდიოდნენ მაწამებელი ტიპის ლახლახა საზიდრებით, ტაშაბარაებით. იქ მათ სადილად ელოდებოდათ გამოუმცხვარი კოკრები იუფკა და ერთი წველა თხის ყველი. ახლადდაქორწინებულთა მისვლას ყველგან თან ახლდა მსუბუქი გაოცება. ასეღაც კი გამოდიოდა: დედამიწაზე შესაფერისი ადგილი არსად იყო, სადაც ინგლისელს ხელის შეუშლელად, კლიტის ნახვრეტში დამცინავი თვალის შეუჭვრეტლად შეძლებოდეს თავისი ბედნიერებით ტკბობა. მისტერ პიკერინგს საქორწილო მარშრუტი, მეტწილად ინკოგნიტო და მიხვეულ-მოხვეული, მოგაგონებდათ კლასიკურ კინოლტოლვილებს კომიკური დაბრკოლებებითურთ. თითქოს მთელი ევროპა ფოტოაპარატებით და ჰოგრიტებით აღჭურვილი მისდევდა უკან. მაგალითად, არასრულ სამ კვირაში, რაც მათ მგზავრობის მთავარ თავგადასავალამდე რჩებოდათ, პიკერინგმა თანამიმდევრულად ინახულა სამი ხეთური ციხის ნანგრევები, ბოღაზკეის გათხრებიც კი, სადაც ჯოჯოხეთურ სიცხეში ენთუზიასტები ცხრილავდნენ ხეთების იმპერიის ყოფილ დედაქალაქს იმ იმედით, რომ ერთი წარწერიანი ფილა მაინც ეპოვნათ. არწივები, თითქოს ყოფილი დიდების ადგილს ვერ სცნობენო, თავს დასტრიალებდნენ კურდღლისცოცხას, ლიშხნარს და ოდნავ გაჩორკნილი ბაზალტის ლოდებს. ამ ლოდებზე აღმოსავლეთის ოდნავ შესამჩნევ, თითქმის გამქრალ ღმერთებთან ერთად გამოიცნობოდა ასეთივე ნაფხაჭნადქცეული მცენებანი და მათს წინაშე მდგარი ევგენია ივანოვნა განიცდიდა პირველი აღმოჩენის მტანჯველ და დამატკბობელ მოუთმენლობას. ყველა ნიშნის მიხედვით, ინგლისელმა იპოვნა მეგობარი, რომელიც ამასთან ერთად მეცნიერის ერთგული ასისტენტიც იყო. ნახევარი თვის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ღამეს ათევდა უკვე ურფაში, ძველ ედესაში, რომლის არსებობა ევგენია ივანოვნამ მხოლოდ იმ ადგილას მისვლის შემდეგ შეიტყო.

მეცნიერი აქ მოიყვანეს მტკიცე მეცნიერულმა ინტერესებმა, ხოლო ზოგი პირადი მოსაზრების გამო იგი ერთ ხანს კინაღამ დასახლდა აქ ათიოდე წლით. ქალაქგარეთ პირველსავე გასეირნებისას ინგლისელმა ცოლს აჩვენა დიდი ხნის წინათ არჩეული წერტილები, სადაც თურქეთის მთავრობის თანხმობით ვარაუდობდა ეპოვნა წინა აზიის ამ გამოჩენილი ციტადელის, ბევრი დროისა და ხალხის ნეკროპოლის თითქმის ყველა ეპოქის საკვანძო დოკუმენტები. მეცნიერის სიტყვით, ამ შედარებით ვიწრო მანძილზე ათასი წლების განმავლობაში ყველანი მამაცურად ებრძოდნენ ყველას: ახალგაზრდა ევროპული ცივილიზაცია უკანასკნელს, უდაბნოს აღმოსავლეთი დასავლეთს, ხეთები ხურიტებს, რომის არწივები სპარსულ ლომებს, არქიეპისკოპოსები ერესიარქებს, ხოლო მძლავრი ვილიარი აქაურ განდეგილებს, ქამრად ხომ ხის ღვლეჭლები ერტყათ და მუმლზე უფრო ამწარებდნენ მას. მოციქული თომა აქედან წავიდა სამისიონერო საქმეების საკეთებლად და სამი საუკუნის შემდეგ თვით ეფრემ სირიელი თავისი კრებულით ქალაქის კარებში მიეგება მის ნეშტს, ვინც ასმაგად ზღო თავისი წუთიერი სკეპტიციზმი... ხოლო შუაღედებში ტრაიანის სადამსჯელო რაზმები ნაცარ-ტუტად აქცევენ ამ ქალაქს, რომელსაც აღადგენს ადრიანე, პრეფექტი მაკრინი აქ დაკლავს კარაკალას, რათა შემდეგ თვით მომკვდარიყო სირიელი ჭაბუკის ხელით უფრო საზიზღარი ბედის მქონე და, ბოლოს, რომის იმპერატორების მსოფლიო-ისტორიული საქმიანობა მცირე აზიაში დამთავრდება ვალერიანეს დატყვევებით, რომლის ზურგს ქედმაღალი საფორი ამიერიდან გამოიყენებს ცხენზე შესაჯდომად, ხოლო ჟამთა წყვდიადში უკვე მზად არიან, რათა თავს დაატყდნენ ედესას მონღოლები, მიწისძვრები, ჯვაროსნები, და შავი ჭირი... — დედაბერს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი უძილო ღამეს. იგი ყველაფრით დატკბა და თვითონ ყველანი დაატკბო... — დაამთავრა ინგლისელმა თავისი ლექცია, — ერთი სიტყვით, ხვალ, ქენი, თქვენ საბოლოოდ გახდებით მისის პიკერინგი და მინდა ვირწმუნო, რომ ოდესმე ჩვენს ქორწინებას აქაური მემატიანე აღნიშნავს, როგორც ადგილობრივი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სასიხარულო ამბავს.

დღე მთლიანად მოუნდა შემონახული ძეგლების დათვალიერებას, ნემვროდის ნანგრევებიდან დაბრუნებულნი, ისინი შეჩერდნენ ჩამოზვავებულ ქვის სატეხებთან, სადაც, პიკერინგის ვარაუდით, ოდესღაც დასრიალებდნენ ღმერთქალ ატერგატისის ცისარტყელასფერი პატარა თევზები. საღამოს მომავალი მეუღლენი ისვენებდნენ ბრიტანელი მისიონერის ბაღში, ვინც ისინი შეიფარა. გაკრიალებული მცენარეების ერთ ციცქნა ჯუნგლებში მოჟღურტულებდა წყალი, თითქოს თან მოაქვსო მთის ფრინველთა ყივილი და ერთმანეთს ეხმაურებოდნენ ადგილობრივი ჰრიჰინები, რომელთაც მოღუნული ხმლები ეკიდათ და წითელსარჩულიანი მოსასხამები ეხურათ. ევგენია ივანოვნა ჩრდილში იმალებოდა, რადგან მზე დილიდანვე აცხუნებდა, თვით პიკერინგი კი, ძველი ჩვეულებისამებრ, დარბაისლურად იჯდა თავისი დამის პირდაპირ მთლად მზის გულზე.

— მაშასადამე, არ ნანობთ, ქენი, რომ ჩემთან გაიზიარეთ ეს ექსპედიცია ბედნიერებისათვის? — ჰკითხა მან და ტკბებოდა მზით გარუჯული მისი სახის, თმის ფერისა და ყველა იმის ცქერით, რამაც ოდესღაც განსვენებული სტრატონოვიც მოხიბლა.

— ო. რა კარგი ხართ... — და თითქმის მოუხერხდა ის გაბმული ინტონაცია, რომლის დახმარებითაც ნაცნობი ინგლისელი ქალები თავიანთ აღტაცებას გამოხატავდნენ. — მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: რატომ ყოველთვის მზეზე ჯდებით და თვალებიც ასეთ დაჟინებულ უნდობლობას გამოხატავენ!

— მინდა ამოვიკითხო, რას ფიქრობთ ჩემზე, ქენი!

— უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ, რომ თქვენ ყველაზე ლამაზი ხართ ამქვეყნად...

მან ხელის შეხებით შეაჩერა იგი:

— მეტად მახარებს, ქენი, რომ სულ უფრო ეჩვევით ჩემს გარეგნობას. იგი სკოლის მერხიდანვე მაყენებდა ყველაზე დიდ წყენას. ტენისონს აქვს სტრიქონი: „Show me the men hath suffered more than J"... ბავშვობაში მეგონა, რომ ეს მე მეხებოდა, ღვთაებრივმა მეჭურჭლემ შეზარხოშებულმა ჩამაფიქრა და განმახორციელა. მე ასე მგონია: მეხსიერებისა და არაჩვეულებრივი მეცნიერული შორსმჭვრეტელობის ნიჭით, რასაც ჩემი მტრებიც არ უარყოფენ, მას სურდა გამოესყიდა თავისი ულაზათო საქციელი...—სევდა და ჰუმორი ძლიერ შეენოდა მისტერ პიკერინგს, ისინი მის გარეგნობას ანიჭებდნენ ადამიანურ კეთილსახიერებას, რაც აკლდა ზოგიერთი გარეშე მიზეზის გამო. — საშიშია ოჯახის შენება მხოლოდ ქალის მადლიერების მერყევ ნიადაგზე. სწორედ გამოუსწორებელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად დავიწყე, ქენი, ეს ლაპარაკი იმისათვის, როცა საბოლოოდ გახდებით მისის პიკერინგი!

მაშინ წამოწითლებულმა და ენაშებორჯლებულმა ევგენია ივანოვნა დაეთანხმა, რომ მას მართლაც აქვს რამდენადმე თავისებური, ხოლო ზოგი მიმოხვრის დროს ოდნავ სასაცილო გარეგნობაც, რომელსაც მხოლოდ ძალდატანებით შეიძლება ეწოდოს სილამაზე. „აჰ, ღმერთო ჩემო... მაგრამ სილამაზე ხომ ის არის, რაც გიყვარს!" — უნებლიეთ მოსწყდა მის ბაგეს, მისტერ პიკერინგის უდიდეს ნუგეშად, ვინც ეს აღიარება მიიჩნია არა მარტო ტაქტად ან გულწრფელობად, არამედ აგრეთვე კეთილშეურყვნელ გონიერებად. ქალმა დასძინა, რომ ინგლისელი მიაჩნია მცველ ანგელოზად, ფარულად რომ ცხოვრობს დედამიწაზე და ყვავილებით ამკობს მის მწუხარებას. რაც შეეხება სხეულს, ანგელოზებისათვის იგი მხოლოდ ნიღაბია...

— არ დავმალავ, დოქტორო, რომ ანგელოზთაგან ყველა თანაბარი კეთილსინდისიერებით როდი ეპყრობა თავის სამეურვეო მოვალეობას!

— მე კი პირადად ვამჯობინებდი უხილავი დავრჩენილიყავ, რათა ენაბლუ არ გამეხადა საკუთარი ბაღები, — ცივად და უფერულად იხუმრა მისტერ პიკერინგმა და თან სინანული გამოთქვა, არ შემიძლია მუდამ ფარდა ვატარო სახეზე, როგორც მოკანანმო.

მეტი აღარ შეიძლება დავმალოთ მეტად სამწუხარო მოვლენა. ამ უაღრესად ღირსეული მეცნიერისა და ჯენტლმენის ცხოვრებაში, ვინც ოცდაშვიდი წლის ასაკში უკვე ანალების რედაქტორი იყო და განსვენებული ა. გ. ლეიარდის შემდეგ ყველაზე უცილობელი ავტორიტეტი ჰქონდა ასურულ-ბაბილონურ არქეოლოგიაში. ახალგაზრდები მკის სულს განაბავდნენ ხოლმე აუდიტორიაში, როგორც კი იგი თავის შთაგონებულ იმპროვიზაციებს დაიწყებდა... მიუხედავად ამისა, პირველი წუთები, შვიდიდან თხუთმეტამდე, გადიოდა ახალბედების ფუქსავატი გამოცოცხლების დაძლევაში. ამის მიზეზი იყო მისტერ პიკერინგის გარეგნობა, რომელიც როგორც ცალკეული დეტალებით, ისე მთლიანად არა მარტო უხამავდა პირად ცხოვრებას, არამედ აგრეთვე უძნელებდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, საზოგადოებას უქმნიდა ფუქსავატ განწყობილებას, რაც არ შეეფერებოდა ამომრჩეველთა ნდობას, გარდა იმისა, რომ საშინელი სიგამხდრის გამო მისი მარჯვენა მხარე ბუნების კანონების საწინააღმდეგოდ თითქოს მარცხენა მხარეზე იმყოფებოდა, რაც სხვათა შორის სრულიად არ შეესაბამებოდა მის განსაკუთრებულ მადას დღე-ღამის ყოველ დროს, მისი სახის კოლორიტს კიდევ ბევრი რამ აკლდა. არ შეიძლება უარვყოთ აგრეთვე, რომ ერთგვარი განათებისას ცხვირთან მეტად დაახლოებული მისი თვალები მოგვაგონებდნენ ორლულიან თოფს. გარდა ამისა, ზოგიერთი დამატებითი განსაკუთრებული თვისებანი, რომელნიც აქ არ მოგვიხსენებია მისი მეცნიერობისადმი პატივისცემის გამო, როგორიც იყო ინგლისელის უზომოდ გრძელი ხელები და შესაბამისად დიდი ტანი, კარიკატურისა და მოსწრებული სიტყვის ისეთ მადლიან მასალას წარმოადგენდნენ, რომ ზოგიერთი ერთგული მეგობარი, ჯენტლმენიც კი ამ გასართობზე უარს არ ამბობდა. მეცნიერს ისღა დარჩენოდა, რომ მზის მსგავსად განუწყვეტელი ბრწყინვალებით ებრმავებინა ბრბო, რათა მისთვის თავისი ლაქები დაემალა.

მოწაფეებსა და წიგნებს თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ, მისტერ პიკერინგს ოჯახი არ ჰქონდა. ქალთაგან მის სახლში იყვნენ ხოლმე მზარეული და მეტად მოხუცი, მუდამ სამგლოვიაროდ ჩაცმული, მეტად მკაცრი და ლამაზი ქალი — დედა. მათი სტუმრობა იმით გამოიხატებოდა, რომ მოთმინებით უცქერდნენ ერთმანეთს, ზოგჯერაც ცოტა ხნით ბუხარს მიუჯდებოდნენ. ავი, ჭორების მოყვარული ენები არც თუ უსაფუძვლოდ და ყოველ შემთხვევაში სანახევროდ მაინც პიკერინგის მეცნიერულ წარმატებას მის უბედურებას მიაწერდნენ, რადგან დიდოჯახიან არქეოლოგთაგან განსხვავებით, იძულებული რომ იყვნენ თავიანთი მოცალეობა შვილიშვილების ლოლიაობაში ეხარჯათ, ამას შეეძლო მთელი დღეღამის განმავლობაში ექექა თავისი თიხის ნამტვრევები, რომლებიც ყუთობით მოჰქონდა ხოლმე ყოველი მხრიდან... ერთი სიტყვით, რაც მეტი ხანი გადიოდა, იგი სულ უფრო ღრმად ეფლობოდა სხვათა სამარხების ფერფლში, სადაც ვერ აღწევდა ვერც მზის სხივი, ვერც ბავშვის სიცილი და ვერც ქალის ხმა და იგი ისე ნაკლებ იცნობდა ამ მხრივ თავის თავს, რომ დიდი ხნის ოცნებას მემკვიდრე ვაჟზე უფრო წარუმატებლობის შიში აქარწყლებდა, ვიდრე ასაკის სიგნალები. თითქმის მთელ მსოფლიოში ცნობილი მისტერ პიკერინგი, მწარე და ნაგვიანევ სიყვარულს რომ შეეპყრო, მხოლოდ იმის შიშმა წაიყვანა მიყრუებულ მცირე აზიაში, რომ საგაზეთო სენსაცია არ გამხდარიყო.

თარგმანი ა. ჟუჟბაძისა.

(გაგრძელება იქნება)

მხატვარი გ. როინიშვილი.

გაგრძელება. დასაწყისი იხილე ჩვენი გაზეთის № 274-ში.

ორდე დგებუაძე

ქართველი საბჭოთა მწერლების რიგებს გამოაკლდა ცნობილი ბელეტრისტი ორდე დგებუაძე. გარდაიცვალა პოპულარული შემოქმედი, კეთილშობილი ადამიანი და გულისხმიერი მეგობარი.

ორდე სოლომონის-ძე დგებუაძე დაიბადა 1905 წელს, სოფელ ანაკლიაში, ზუგდიდის რაიონში, ფარმაცევტის ოჯახში. მამამისი სოლომონი რევოლუციური საქმიანობისათვის მეფის ხელისუფლების მიერ დევნილი იყო და იძულებული გახდა 1917 წლამდე უცხოეთში გადახვეწილიყო.

ორდე დგებუაძემ სამწერლო მოღვაწეობა 1938 წელს დაიწყო. მისი მოთხრობები იმთავითვე შეიყვარა ქართველმა მკითხველმა და მუდამ მოუთმენლად ელოდა მის ყოველ ახალ ნაწარმოებს. ორდე დგებუაძის სათავგადასავლო მოთხრობები და რომანები ქართული საბჭოთა პროზის მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც მკითხველს უნერგავს სამშობლოს სიყვარულს და მისთვის თავდადებას, შეურიგებლობას ყოველგვარი მახინჯი და მავნე მოვლენებისადმი.

პირველმა წიგნმა „დამნაშავენი", რომელიც სამამულო ომის დროს დაიბეჭდა, პოპულარობა მოუპოვა ავტორს. მას მოჰყვა მოთხრობები და რომანები: „მეორედ დაბადება", „ამბავი ერთი ქალიშვილისა", „უცნობი მეგობარი", „ოთხი სიცოცხლე", „დიდ გზაზე", „ღვთისმშობლის მოტაცება". განსაკუთრებით უყვარდა ქართველ მკითხველს მწერლის უკანასკნელი რომანები „ჩაძირული თოლია" და „განთიადის დედოფალი".

ორდე დგებუაძის ნაწარმოებებს ახასიათებს რთული და მრავალწახნაგოვანი სიუჟეტი, მძაფრი სიტუაციები და მკაფიოდ გამოხატული სახეები. [illegible] სი მოთხრობებისა და რომანების გმ [illegible] არიან [illegible] დაუღალავი, სიკეთისათვის მებრძო [illegible] ლა დგას.

ორდე დგებუაძის კალამს ეკუთვნ სცენარი კინოსურათისა „მე ვიცა სიმართლეს". მიმდინარე წელს ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე იბეჭდე ბა ორდე დგებუაძის რომანის „განთიადის დედოფლის" მეორე წიგნი, რომელსაც ასე ინტერესით ელოდა ქართველი მკითხველი.

ორდე დგებუაძე ამასთანავე საზო გადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო თბილისის საქალაქო საბჭ უკანასკნელი მოწვევის დეპუტატი, ს ქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ორდე გულისხმიერი, კეთილშობი ლი, რაინდული სულის, მეგობრებისა თვის თავდადებული, პირდაპირი, მ სიყვარულე და ალალი გულის ადამია ნი იყო.

ორდე დგებუაძის სახელს არ და ვიწყებს ქართული ლიტერატურის მ მატიანე.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

საინტერესო ნაპოვნი

გარნის ციხე-სიმაგრეში...

ერევანი, (საკდესის კორ.). უძველესი სომხური ციხე-სიმაგრე გარნის არქეოლოგიური გათხრების წლევანდელი სეზონი დამთავრდა ძვირფასი მეცნიერული ნაპოვნით. სომხეთის ზეგნის ტერიტორიაზე პირველად ნაპოვნია ანტიკური ხანის ქანდაკების თეთრი მარმარილოს ტორსი. იგი ამოიღეს გარნის ციტადელის კედლის საძირკვლიდან, სადაც იგი ორი ათასეული წლის განმავლობაში იდო.

— უნიკალური ნაპოვნის წინასწარმა შესწავლამ. — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ექსპედიციის ხელმძღვანელმა პროფესორმა ზ. ნ. არაქელიანმა, — დაგვანახვა, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უძველესი ხელოვნების კლასიკურ ძეგლთან. ეს წარმართული ხანის ძეგლია.

სპეციალისტებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო გარნიში მეორე ნაპოვნი. — ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე საუკუნის პირველი ნახევრის ურარტუს ლურსმნული წარწერა. იგი მეფე არგიშტმა დატოვა და მასში ნათქვამია, რომ მან ეს ადგილები დაიპყრო და იქიდან ტყვეები წაიყვანა.

წარწერა საგულისხმოა იმითაც, რომ იგი გამიკვეთილია ევრეთწოდებულ „ვიშაპზე" (სამ-ოთხ-მეტრიანი ქვის ქანდაკება, რომელიც თევზს ან გველს გამოხატავს). „ვიშაპები" ერთ დროს წყალსატევებთან, წყაროებთან, უძველეს არხებთან იდგნენ და დაკავშირებული იყვნენ წყლისა და ნაყოფიერების კულტთან. გარნის ნაპოვნმა საბოლოოდ გადაწყვიტა მეცნიერების დავა. ამ ქვის ქანდაკებათა თარიღის შესახებ დაადგინეს, რომ „ვიშაპები" ურარტუმდელ, ე. ი. ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის.

შემთხვევები

ხანძარი ტყეში

ზნაურის რაიონის სოფელ აწრისხევის მახლობლად ჩუხის ტყეში ხანძარი გაჩნდა. ხანძარი პირველმა ვანათ-ბელოთის სატყეო განყოფილების მუშაკმა, ტყის მცველმა ვალიკო აკილაშვილმა შეამჩნია. მან დაუყოვნებლივ აცნობა ეს ამბავი ვანათ-ბელოთის სატყეო განყოფილებას, ხოლო სანამ იქიდან მაშველი მოვიდოდა, სოფელ აწრისხევის მცხოვრებლებს სთხოვა დახმარება.

მოკლე დროში ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. ჟ. ინაურის, გ. აკილაშვილის, შ. ინაურის, ვანათ-ბელოთის სატყეო განყოფილების მუშაკების ქ. ქაბულოვის, მ. გუჩმაზოვისა და სხვათა სიმამაცემ განადგურებას გადაარჩინა ჩუხის ტყეში ცამდე აშოლტილი რცხილის, წიფლის, მუხის ძვირფასი ხეები.

ს. ცოტნიაშვილი.

კომუნისტი სპორტი

„მოლდოვამ" ამოისუნთქ

სეზონის მიწურულში „ა" კლასის პირველი ქვეჯგუფის რამდენიმე კოლექტივის, მათ შორის **„მოლდოვას"** მდგომარეობა სავალალო აღმოჩნდა. კიშინიოველ ფეხბურთელებს მეორე ქვეჯგუფში გადასვლა ემუქრებოდათ. ყველაფერი დამოკიდებული იყო უკანასკნელ შეხვედრაზე.

და აი ერთ-ერთი მათგანი გასულ კვირადღეს „მოლდოვას" ჰქონდა საკუთარ მოედანზე **კიევის დინამოელებთან**. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს კიშინიოველებმა. ამ ორმა ქულამ „მოლდოვას" მომავალი წლისათვის „ა" კლასის პირველ ქვეჯგუფში შეუნარჩუნა ადგილი.

გუშინ მოსკოვსა და ერევანში შედგა ჩემპიონატის კიდევ ორი შეხვედრა.

მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლენინგრადის **„დინამოს"** მატჩის შედეგია 4:0 არმიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

უკანასკნელი შეხვედრა ჰქონდათ ერევანში ადგილობრივ **„არარატსა"** და დონის როსტოვის **არმიის სასპორტო კლუბის** გუნდებს. მატჩი დამთავრდა როსტოველთა გამარჯვებით 3:0.

დღეს შედგება სამი მატჩი. თბილისში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი **„დინამო"** და მოსკოვის **„ლოკომოტივი"**, მოსკოვში — **„სპარტაკი"** და **„პახტაკორი"**, ალმა-ატაში — **„კაირატი"** და სკოვის **„დინამო"**.

თბილისის დინამოელები რომ საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ, სა მოიგონ მატჩი შვიდი ბურთის სხვა „ლოკომოტივისათვის" კი დღევან თამაში „სამკვდრო-სასიცოცხლოა" გან დამარცხების შემთხვევაში „ა" კლასის პირველ ჯგუფს. ამიტომ, სებით ბუნებრივია, შეხვედრა უაღრესად დაძაბული, პრინციპული. სურვოთ ჩვენს ფეხბურთელებს სა ველი წარმატება.

თამაში, ბურთი, ქულ

„ა" კლასის პირველი ქვეჯგუ

მდგომარეობა 26 ნოემბრისათვი

	თ.	ბ.
„დინამო" (მ.)	36	47—14
„სპარტაკი" (მ.)	37	61—29
„დინამო" (მნ.)	38	47—27
სკა (როსტ.)	38	73—40
„დინამო" (თბ.)	37	54—40
„ზენიტი" (ლ.)	38	45—32
ცსკა	38	39—27
„ნეფტიანიკი" (ბ.)	38	48—44
„დინამო" (კ.)	37	67—47
„ტორპედო" (მ.)	37	45—40
„შახტიორი" (დ.)	38	29—38
„ტორპედო" (ქ.)	37	22—37
„მოლდოვა" (კიშ.)	37	27—43
„კაირატი" (ალმ.)	37	28—47
„დინამო" (ლ.)	38	37—51
„კრ. სოვეტ." (კუიბ.)	37	45—53
„ლოკომოტივი" (მ.)	37	35—52
„არარატი" (ერ.)	38	34—57
„ავანგარდი" (ხ.)	38	25—56
„პახტაკორი" (ტ.)	37	40—7

დუბლიორები—მესამე ადგილზე

გუშინ თბილისში გაიმართა დუბლიორთა მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თბილისის „დინამოს" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს დინამოელებმა 2:0.

თბილისის „დინამოს" დუბლიორთა გუნდმა 48 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

ჭადრაკის საათები ჩართეს

ლენინგრადში საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი ქვეყნის XXXI პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის. წილისყრის შედეგად მონაწილეებმა ასეთი ნომერაცია მიიღეს: 1. ს. ფურმანი, 2. ა. გიპსლისი, 3. ე. გუფელდი, 4. რ. ხოლმოვი, 5. ა. სუეტინი, 6. ვ. ბაგიროვი, 7. ვ. კორჩნოი, 8. ლ. პოლუგაევსკი, 9. ი. ნეი, 10. ე. გელერი, 11 ბ. სპასკი, 12. მ. ტაიმანოვი, 13. ა. ზახაროვი, 14. ლ. შტეინი, 15. ა. ნოვოპაშინი, 16. დ. ბრონშტეინი, 17. ი. კლოვანი, 18. ვ. ოსნოსი, 19. ი. ავერბახი, 20. ი. ბონდარევსკი.

გასულ კვირადღეს შედგა პირველი ტური. შეუპოვარი იყო გელერისა და სპასკის ორთაბრძოლა. პოზიციის სამჯერ გამეორებით ამ პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ასევე შედეგით დამთავრდა კორჩნოი-შ გიპსლის-ავერბახისა და გუფელდ- პარტიები. ხოლმოვმა მოუგო კლოვან რჩენი პარტიები გადაიდო. პოლუგაევ ხაროვთან გადადებულ პარტიაში პაი ლია.

გუშინ გაიმართა მეორე ტური. გელერმა დაამარცხა ტაიმანოვი, ბა მა — ბრონშტეინი. ბონდარევსკი- შტეინ-პოლუგაევსკის, ნოვოპაშინ-კო კლოვან-სუეტინის, ოსნოს-ხოლმოვის, ბახ-გუფელდისა და ფურმან-გიპსლის ტიები ყაიმით დამთავრდა.

ორი ტურის შემდეგ წინ არის ხო რომელსაც ქულანახევარი აქვს.

თბილისელ კალათბურთელ წარმატება

გუშინ თბილისის სპორტის სა ში დამთავრდა საერთაშორისო ტ კალათბურთში რუმინეთის, გდრ- ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდებ ნაწილეობით.

სტარტზე თბილისის დინამო დაამარცხეს ბუქარესტის ახალგა ლი ნაკრები 78:68, ხოლო მეორე მა — „ბურევესტნიკმა" ცსკა 72:42. გასულ კვირადღეს ერთმ პაექრობა ჰქონდათ ჩვენი რესპუ გუნდებს — „დინამოსა" და „ბუ ნიკს". გამარჯვება დინამოელებს 53:51. გერმანელებმა მოუგეს რუ კალათბურთელებს 49:37.

გუშინ გაიმართა ტურნირის ნილი მატჩები. თბილისის დინამო ანგარიშით 82:69 დაამარცხეს გუნდი და პირველი ადგილი დაი

ბაქოს ტურნირზ

ერთი დღის შესვენების შემ ნოემბერს ქალთა საჭადრაკო ჩე ტის მონაწილენი კვლავ ჩაბნენ ლაში.

მეექვსე ტურში გაიმარჯვეს რის ჩაიკოვსკაიასა და კაკაბაძე-ს აში მოწინააღმდეგეები ყაიმზე შ ნენ. ასეთივე შედეგით დამთავრ დურა-ბორისენკოსა და ბელავენ ტოროვიჩის პარტიები. რანიკუმ ცხა ბიკოვა, ზატულოვსკაიამ — კუშნირმა — კოზლოვსკაია. დან პარტიები გადაიდო.

გუშინ ბაქოში შედგა მეშვიდე სსრ კავშირის ჩემპიონმა ზატ კაიამ დაამარცხა ბელავენეცი, ვამ — პოსტნიკოვა, ვოლპერტმა ლოვსკაია, ბიკოვამ — ივანოვა. სენკო-რანიკუს, იგნატიევა-შადურ კაზმინა-სკეგინას პარტიები ყაიმ თავრდა. დანარჩენი პარტიები გ ლიდერს — ჩაიკოვსკაიას ზვორი გადადებულ პარტიაში ზედმეტ აქვს.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვი

ტელევიზია

26 ნოემბერი

12.00 — კინონარკვევი „ტურგაის ჰორიზონტები", 12.20 — მხატვრული ფილმი „გზაჯვარედინი", 15.15 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „იყო და არა იყო რა"..., 18.20 — „სკოლების დასახმარებლად", 18.40 — გადაცემა — „წიგნის ერთთვიური", 18.55 — დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულიდან გაზაფხულამდე", 19.45 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 20.00 — კინონარკვევი „ტურგაის ჰორიზონტები", 20.20—„მუსიკის სამყაროში", 21.00 — მხატვრული ფილმი „გზაჯვარედინი", 22.30 — ახალი ამბები, 21.30 — უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილი გადაცემა, 23.30 — ნაწყვეტები დელიბის კომიკური ოპერიდან „ასე თქვა მეფემ".

რადიო

27 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — გლაზუნოვი. სავიოლინო კონცერტი, 10.40 — ნ. ტიხონოვის ლექსები საქართველოზე, 11.15 — ს. პროკოფიევი. მეხუთე სიმფონია, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25 — ქართული კამერული მუსიკა, 13.40 — აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები, 17.15 — კონცერტი აჭარის თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ვ. კოზლოვის მოთხრობა „მარწყვი", 18.10 — მუსიკალური ლექსიკონი, 18.45 — „მღერის რუქენა სიკორა", 19.30 — საუბარი — „მოაბიჯებს დიდი ქიმია", 19.45 — ს. ცინცაძე. ფანტაზია ქართული ხალხური სიმღერების თემებზე, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი,

თეატრები

26 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ლუჩია დი ლამერმური (მე-11 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ცეცხლის ჩრდილში (მე-11 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ვიქტორ პიკაიზენის (ვიოლინო) კონცერტი, **გრიბოედოვის სახელობის** — ოკეანე (მე-8 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გზა მშვიდობისა (აბონ. № 1, 4 ს.), **თოჯინების ქართული** — ფიფქიას სკოლა (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (2 ს.).

კინო

26 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, საქართველო — (მწვანე დარბაზი), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ჰავჰავაძის სახელობის კულტურის სახლი** — ყალთაბანდობა კაზინოში, **ისანი** — გზა არენისაკენ, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — მამაკაცი ჩვენს სახლში (I-II სერია), **სპარტაკი, კომკავშირელი, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **თანამგზავრი, ნაკადული** — განგსტერები და ფილანთროპები, **თბილისი** — ორი ბატონი №, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ოჯახური თილისმა, **კოლხიდა** — სამი მუშკეტერი (I-II სერია), **გაზაფხული** — ოკლაჰომა (I-II სერია), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ლილი, **ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე** — სამი დღე-ღამე უკვდავების შემდეგ, **კიროვის სახელობის პარკი** — კარუსელი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონე

უე 11674

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.